# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 14 თებერვალი 2003 №24 (1795) | ფასი 50 თეთრი




# არ იქნება რია-რია

## ფედერაცია, ჟორდანია, ჩოლარია



დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაა, რომელზეც უხმაუროდ დაამტკიცებენ ფიფა-უეფასა და იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწონებულ ახალ წესდებას. მოგეხსენებათ, რაც დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი არსებობს, იქიდან მოყოლებული დღემდე ფედერაციის წესდება ფიფას წესდებასთან შეუსაბამობაშია და ეს ამბავი შარშანდელი აგვისტოს საპრეზიდენტო არჩევნებამდე ვერავინ შეამჩნია.

ამავე ყრილობაზე აირჩევენ ფედერაციის ახალ აღმასკომს და თუ ხმაური იქნა, ისევ ამ არჩევნებისას. მიზეზი მარტივია: ერთ ადგილზე ორი კანდიდატი მოდის და, აბა, ვის სურს არჩევნებში დამარცხება.

ასარჩევია ახალი გენერალური მდივანიც და ქვეყანა თუ არ დაიქცა, ამ პოსტზე ვალერი ჩოლარია დარჩება.

არადა, პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ვაჟა ჩხაიძე ყრილობის ჩაშლით იმუქრებოდა და სამისოდ სასამართლოს სათანადო გადაწყვეტილებაც ააფრიალა. მაგრამ ფედერალებმა იმავ სასამართლოს კონტრარგუმენტები წარუდგინეს და ადრინდელი გადაწყვეტილება შეაცვლევინეს.

ერთი სიტყვით, როგორც უყვართ თქმა, ყრილობა კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაივლის.

ქომაგს კი რა? მას ვინძლო აღმასკომის ახალ წევრთა ვინაობაზე მეტად საქართველოს ნაკრებისა და ეროვნული ჩემპიონატის მომავალი აინტერესებს და აწუხებს. ევებ ფედერაციამ ამასაც მიხედოს.

# ცქიტიშვილი დენვერშიც თბილისშია: პოლიცია და რამე...

ნიკა ცქიტიშვილის ნბა-ურ კარიერაში ახალი ხანა იწყება? „დენვერ ნაგიტსის“ ჭაბუკი ქართველი ფორვარდის სპორტულ ცხოვრებას არც მანამდე ეთქმოდა უზრუნველი, ნიკა ბევრს ვარჯიშობდა, შრომას არ თაკილობდა, ერთი სიტყვით, ცდილობდა ბიჭი. საკითხავი ისაა, რა გამოსდიოდა. ალალად რომ ვთქვათ, ბევრიც არაფერი. წაუვიდოდა თამაში, ჩააგდებდა ორ-სამ ბურთს, ხომ კარგი, არ წაუვიდოდა და თავში არავინ სცემდა. ვითარება თვალის დახამხამებაში შეიცვალა, ორი დღის წინ მწვრთნელმა ჯეფ ბზდელიკმა კატეგორიულად დაუსვა საკითხი, საკმაო ხანია ნბა-ში ხარ და დროა გვიჩვენო, რაც შეგიძლია, ამიერიდან მეტს მოვთხოვო. იმ საღამოს, ანუ გუშინწინ ნიკამ 17 ქულა ჩაუგდო „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“. რა არის ამის მიზეზი, ისევ შემთხვევით „წასული“ თამაში თუ მწვრთნელისგან შეფუცხუნება? გასცდება ნიკა 3-4 ქულიან თამაშებს? ერთი კარგი მატჩი არც ძალიან მყარი საბუთია ახალბედას წინსვლაზე სასაუბროდ, ამიტომ მოდით უბრალოდ აღვნიშნოთ, რომ ცქიტიშვილმა „დენვერში“ თავის 50-ე თამაშში კარიერაში უბევრესი, 17 ქულა ჩააგდო და მის მომდევნო თამაშებს დავუცადოთ.

ამასობაში „ცქიტა“ მოედანს მიღმაც აწესრიგებს თავის ამერიკულ ცხოვრებას, მით უმეტეს, რომ მას ურთიერთობა აეწეწა იქაურ პოლიციასთან. ამასწინათ ის შვიდი საათით განყოფილებაშიც აყურყუტეს. მართალია, მშვიდობიანად გამოუშვეს, მაგრამ სანამ პოლიცია მისი დარღვევების რაობას არკვევდა, ნიკას უპატრონოდ მიტოვებული ჯიპი ვიღაცას აუწაპნავს, მიულეწ-მოულეწია და სადღაც მიუგდია. ყველაფერი იმ ბოლმიანი პოლიციელების ბრალიაო, ამბობს ნიკა და ახლა თავად აპირებს მათთვის უსიამოვნებების შექმნას.



ინტერვიუ ნიკა ცქიტიშვილთან იხილეთ მეცამეტე გვერდზე

# პორტუგალიამ ერთი დღე ითხოვა

15 თებერვალს დათქმული ევროპის ერთა თასის პირველი ტურის მატჩი პორტუგალია — საქართველო ერთი დღით გვიან, კვირას, 16 თებერვალს გაიმართება. ეს თავად პორტუგალიელებმა ითხოვეს.

„პორტუგალიელებს მიზეზი არ დაუკონკრეტებიათ. უბრალოდ, გვთხოვეს, შაბათის ნაცვლად კვირას ვითამაშოთო. საწინააღმდეგო არაფერი გვქონდა და დავთანხმდით“ — გვითხრა საქართველოს ნაკრების კურატორმა გია ჭუმბურიძემ.

მატჩის გადავადებამ ჩვენებს გეგმები არ აურია. პირიქით, კლოდ სორელს ერთი დღე დაემატა ნაკრების უკეთ მოსამზადებლად.

გუშინ კი სორელმა ის 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, ლისაბონში რომ ჩაიყვანს. ამათგან მატჩის განაცხადში 22 მორაგბე მოხვდება. ბორჯღალოსანთა ფრანგმა მწვრთნელმა ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობებიც შეარჩია. ვინიცობაა, საპორტუგალიო რაზმიდან ვინმე დაშავდეს, სორელს რეზერვიც ჰყავს. 23-ე კაცად მას ლისაბონში თბილისის „აკადემიის“ გარემარბი გიორგი ელიზბარაშვილიც მიჰყავს.

სორელმა სამატჩო სიაში არ შეიყვანა წინამძღოლი ბიძა კვინიხიძე და კახა ალანია, რომელსაც შარშან რუსეთთან 17:13 მოგებულ მატჩში საზარდულში დაუჭიმა და მას შემდეგ საქართველოს ჩემპიონატში ერთი კინკილა მატჩი ითამაშა. ალანიას ნაცვლად სორელი აქსენტი გიორგაძის უმცროსს ძმას ირაკლის გამოცდის. გუნდში არაა ბეზიელი ვანო ნადირაძე, რომელსაც კლუბში მიღებული ტრავმა გაუმიზეზდა. ბორჯღალოსანთა ერთ-ერთი ლიდერი გია ლაბაძე ოჯახური მიზეზით დაეთხოვა მწვრთნელს: ორიოდ დღის წინ ლაბაძე მამა გახდა და ტულონში ნამშობიარევი მეუღლე და ახალშობილი მარტო ვერ დატოვა.

საპორტუგალიოდ გამზადებულ ნაკრებში ორი ახალბედაა. ესენი არიან „კანის“ პირველხაზელი ზვიად მათიაშვილი და „სენ ნაზერის“ მარჯვენა ბურჯი დავით ხინჩაგაშვილი.

**ძირითადი შემადგენლობა:** ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, თედო ზიბზიბაძე, ვასილ კაცაძე, მადრი ხეხელაშვილი, პალიკო ჯიმშელაძე, ირაკლი აბუსერიძე, გოდერძი შველიძე, აქსენტი გიორგაძე, ტარიელ რატიანიძე, ვიქტორ დიდებულიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, დავით ბოლაშვილი, გრეგუარ იაშვილი, ილია ზედგინიძე (კაპ)

**სათადარიგოები:** დავით ხინჩაგაშვილი, სოსო ნიკოლაენკო, ზვიად მათიაშვილი, გიორგი ჩხაიძე, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი გუნდიშვილი, ირაკლი გიორგაძე, გიორგი ელიზბარაშვილი



ფედერაციის გენერალური მდივანი 14 თებერვლამდე ვარ, მერე კი ვინ იცის, რა მოხდებაო, გვითხრა ამას წინათ ვალერი ჩოლარიამ.

ოფიციალურად ასეცაა, ჩოლარიას უფლებამოსილების ვადა სწორედ 14 თებერვალს უმთავრდება, მაგრამ საკვირველი სულაც არაა და ასეც მოხდება — გენერალური მდივანი 15 თებერვალსაც თანამდებობაზე იქნება. ყოველივე დღეს ოფიციალურად დადასტურდება „შერატონ მეტეხში“ სფფ-ის ყრილობაზე.



# ახალი წესრიგი ძველი კადრებით?

## სად არის, სხვაგან ახალი ვალერი...

დღეს ფედერაციის საანგარიშო ყრილობაზე ბევრი რამ არის გადასაწყვეტი. გენერალური მდივნის ბედი კი ფაქტობრივად გარკვეულია, საწყაული უნდა მოხდეს, ახალ არჩეულმა აღმასკომმა ჩოლარიას კანდიდატურა არ მოიწონოს.

აქამდე გენერალურ მდივანს სფფ-ის პრეზიდენტი ასახელებდა ყრილობაზე და დელეგატები ამ გადაწყვეტილებას აკანონებდნენ. ახალი წესდებით კი, გენერალურ მდივანს აღმასკომი დაამტკიცებს. ახალი აღმასკომი კი, მოგეხსენებათ, 17-კაციანი იქნება. ორი წევრი უკვე ცნობილია — სფფ-ის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი. დანარჩენ 15 ვაკანსიაზე კი 28 კანდიდატი აცხადებს პრეტენზიას, ამათგან ცამეტი ხელმოცარული დარჩება.

კანდიდატთა სია გაცილებით მასშტაბური უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქვემო ქართლის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტმა ლაშა მინდელმა მხოლოდ თავისი კანდიდატურა წარადგინა სფფ-ში დათქმულ ვადაში. ამან, როგორც იცით, ბოლნისელთა აღშფოთება გამოიწვია. „სიონის“ მესვეურებმა მინდელის გადაწყვეტილებას უკანონო უწოდეს და აღმასკომის წევრობის კანდიდატთა სიის გაფართოება მოითხოვეს. ფედერაცია თავდაპირველად კონსტრუქციულად მოეკიდა ბოლნისელთა სჩივარს, გავარჩევთ და გადაწყვეტილებას მივიღებთო, მაგრამ არაფერიც არ გარჩეულა, ქვემო ქართლის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის გადაწყვეტილებას ვერ შევცვლით, ყველაფერი ძველებურად იქნებაო, გვითხრეს ფედერაციაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვემო ქართლიდან აღმასკომის წევრობაზე მხოლოდ მინდელი იქნება წარდგენილი და კარგი შანსიც ექნება ჩვიდმეტეულში მოსახვედრად.

დღევანდელი ყრილობის დღის წესრიგი ასეთია:

1. სფფ-ის ახალი წესდების დამტკიცება
2. აღმასკომის არჩევა
3. სააპელაციო და სადისციპლინო კომიტეტის არჩევა
4. აუდიტის არჩევა
5. გენერალური მდივნის არჩევა

აღმასკომის წევრებზე და უალტერნატივო ჩოლარიაზე ზემოთ მოგახსენეთ, ცოტა რამ დარჩენილ სამ საკითხზეც ვთქვათ.

ფედერაციამ ახალი წესდების პროექტი წესისამებრ, ფიფა-უეფას და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარუდგინა. ფედერაციას მცირე წინააღმდეგობა მხოლოდ უეფასგან შეხვდა — ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო წესდების პროექტის რამდენიმე პუნქტში არ დაეთანხმა სფფ-ს.

ფედერაციას სამომავლოდ არჩევნების ჩატარება აბსოლუტური უმრავლესობის წესით სურს, უეფას დირექტივა კი არჩევნების 50 პროცენტს პლუს ერთი სქემით გამართვას მოითხოვდა, მიუხედავად იმისა, რომ ფედერაციამ ეს შენიშვნა არ გაითვალისწინა, დღევანდელი ყრილობის წინ ფედერაციისვე ინფორმაციით, ყველაფერი იდეალურადაა. ფიფა-უეფამ იმდენად მოიწონა ჩვენი წესდება, რომ საყრილობოდ დამკვირვებელთა გამოგზავნაც არ უფიქრიაო, გვითხრეს ფედერაციაში. ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი ვინმეს მწარე ოპოზიციონერობა არ მოესურვება, წესდებას დღეს უხმაუროდ დაამტკიცებენ.

აუდიტთან დაკავშირებით რამდენიმე ვარიანტი აქვს სფფ-ს. ფედერაცია ბოლო დროს ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა „პეკა-ემ ჯისთან“ და „ერნს იანგთან“. სავარაუდოდ, ამათგან ერთერთს მოიწონებენ ყრილობაზე.

ბოლოს სადისციპლინო და სააპელაციო კომიტეტებზეც ვთქვათ. ამათი დამტკიცებისას ცოტა მეტი დრო დასჭირდებათ დელეგატებს, რაკილა აქამდე ყრილობა მხოლოდ თავმჯდომარეებს ირჩევდა, ახალი წესდების გათვალისწინებით კი სააპელაციო და სადისციპლინო კომიტეტების მთლიანი შემადგენლობა უნდა დამტკიცდეს.

დღევანდელ ყრილობას 44 დელეგატი და ერთი ამდენი საპატიო სტუმარი ეყოლება. „შერატონულ“ მოვლენებს 41 ჟურნალისტი გააშუქებს.

**ბაატა ძვანტალიანი**

# ფედერაციამ სასამართლო სასამართლოში დაამარცხა

## ჩოლარიამ პოლიცია ყრილობაზე დაპატიჟა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინა ყრილობაზე პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ვაჟა ჩხაიძემ 3 თებერვალს დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოში ფედერაციის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. ჩხაიძე ითხოვდა, რომ სფფ-ის მორიგი ყრილობა, რომელიც დღეს გაიმართება, იქამდე არ შემდგარიყო, სანამ ფედერაცია თავის წესდებას არ შეასწორებდა.

მოსამართლე კვარაცხელიამ საქმე ორ დღეში განიხილა და 5 თებერვალს დადგენილებაც გამოიტანა — აეკრძალოს ფეხბურთის ფედერაციას ხარვეზების შეუვსებლად 14 თებერვალს ყრილობის ჩატარება — ვკითხულობთ მოსამართლის დადგენილებაში, რაც უფრო გასაგებ ენაზე ნიშნავს, რომ ფედერაციამ ჯერ წესდება უნდა მოაწესრიგოს და ყრილობა მერე ჩაატაროს, ოღონდ არა 14 თებერვალს. ჩხაიძის სასარჩელო განცხადებაში თურმე ისიც ეწერა, 1998 წლის ყრილობაზე მერაბ ჟორდანიას პრეზიდენტად არჩევა დოკუმენტალურად არაა დაფიქსირებული, შარშანდელ აგვისტოს ყრილობაზე კი საარჩევნო ხმის კვოტები არასწორად იყო განაწილებულიო. სწორედ ამ ორი და სხვა მიზეზების გამო ითხოვდა ჩხაიძე წესდების შეცვლასა და კვარაცხელიამ დააკმაყოფილა კიდეც.

ფედერაციამ კი, ალბათ იცით, აგვისტოს ყრილობამდე უეფადან რეკომენდაციის სახით, თუმც აუცილებლად გასათვალისწინებელი რჩევა მიიღო, ეს ყრილობა ძველი წესდებით ჩაატარეთ, ექვსი თვის ვადაში კი ახალი ყრილობა მოიწვიეთ, წესდება შეცვალეთ და უეფას სტანდარტებს მიუახლოვეთო.

ერთი სიტყვით, როგორც აგვისტოში, ფედერაციას ახლაც შეუტიეს და საალმსრულებლო პოლიციიდან ესტუმრნენ, აპირებთ თუ არა ყრილობის ჩატარებასო, იკითხეს.

ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ პოლიციელები მშვიდად გაისტუმრა, მერე კი თავად მიმართა სასამართლოს და ახლაც მოგებული დარჩა. ფედერაციამ იმავე მოსამართლე კვარაცხელიას თავისი არგუმენტები აახლა, დაარწმუნა, რომ წესდების შეცვლა ყრილობის საქმეა და ამის გაკეთებას სწორედ 14 თებერვალს აპირებს.

კვარაცხელიამ ფედერაციის აპელაციაც სწრაფადვე განიხილა და ყრილობის ჩატარების ნება დართო.

მიუხედავად კვარაცხელიას ხელახალი გადაწყვეტილებისა, საალმსრულებლო პოლიცია შესაძლოა, ფედერაციის ყრილობას დღესაც ესტუმროს, თუმც ვალერი ჩოლარიამ გვითხრა, რომ აღმასრულებლებს სიამოვნებით მიიპატიჟებენ დარბაზში დამკვირვებელთა სტატუსით.

— მივიდნენ და დარწმუნდნენ, რომ ყრილობა რეგლამენტის სრული დაცვით იმუშავებს, გასაკეთებელი გაკეთდება, წესდება შეიცვლება, რისი პროექტიც იუსტიციის სამინისტრომ და ფიფა-უეფამ მოიწონეს — ამბობს ჩოლარია.

გუშინვე ფედერაციამ უეფას გენერალური მდივნის, გერჰარდ აიგნერის ხელმოწერილი ფაქსი მიიღო — გილოცავთ და გიწონებთ ყრილობის 14 თებერვალს ჩატარებასო.

**ძოგა ინასარიძე**



ვაჟა ჩხაიძემ ფედერაციას ახლაც ვერაფერი დააკლო





საგრანგეთი... 

## კალათბურთი

### ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. XIV ტური. 13 თებერვალი

| B ჯგუფი | C ჯგუფი |
| --- | --- |
| ტაუ 79:63 უნიკახა | პარტიზანი 86:90 ულძერი |
| პანათინაიკოსი 65:63 ოლიმპია | შლიონსკი 73:84 ცსკა |
| სიენა 112:49 ბუდუჩნოსტი | კინდერი 73:77 ოლიმპიაკოსი |
| მაკაბი 76:71 ჟალგირისი | რეალი 77:85 ვილერბანი |

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი

კრეტეი 0:2 ზატორუ

### ამხანაგური მატჩები

კვიპროსი 1:3 სლოვაკეთი
რუსეთი 4:2 რუმინეთი


სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა“
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- ნარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

მოლდოვასთან ამხანაგურ მატჩში საქართველოს ნაკრებს დებიუტანტები არ აკლდა. ერთ-ერთი მათგანი კიევის „არსენა-ლის" თავდამსხმელი შალვა აფხაზავა იყო. ბათუმელი ფორვარდი უკრაინაში სეზონის წინ გადაბარგდა და ალღოიანი მეგოლის სახელიც დაიგდო. კლუბისა და ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირს გოლის გატანა ნაკრებში, სადებიუტო მატჩშიც გულით ენადა...

კიევის „არსენალის" ჩია ტანის ქართველ ფორვარდს მოლდოვასთან მატჩის შემდეგ გავესაუბრეთ



# ნდობა საგოლე პასივითაა, გაგატანინებს

## აფხაზავა უეფას უმიზნებს და დარტყმულს ვერ ხედავს

**— სანაკრებო დებიუტით კმაყოფილი ხარ?**

— ძალიან მიხარია, ეროვნული გუნდის მაისურის ჩაცმა რომ მეღირსა, მაგრამ ჩემი თამაშით კმაყოფილი ნამდვილად არ ვარ. უფრო მეტი შემეძლო.

**— თვითკრიტიკული ყოფილხარ...**

— უბრალოდ, ძალიან მინდოდა გოლის გატანა.

**— ამის შანსი ნამდვილად გქონდა.**

— მეც ამას ვამბობ. თავდამსხმელი ვარ და გოლების გატანა მევალება. უგოლო თავდამსხმელი რა ბედენაა. თუმც არა უშავს. ყოველთვის ხომ არ გამოგივა თამაში. ვეცდები, ქართველ გულშემატკივარს თავი მომავალში დავამახსოვრო.

**— თავდასხმაში რატი ალექსიძის პარტნიორი იყავი...**

— რატი ძალიან კარგი ფეხბურთელია. ერთმანეთს კარგად გავუგეთ, მაგრამ, ცხადია, უკეთესი იქნებოდა, უფრო მეტი გვქონოდა ერთად ნათამაშები. ასე უფრო გაგვიიოლდებოდა მოლდოვასთან.

**— დავით მუჯირს კი ხელი შეუშალე გოლის გატანაში...**

— მუჯირმა ძალიან მახვილგონივრულად დაარტყა კარში, მაგრამ დარტყმის მომენტი ვერ დავინახე და ბურთი უნებურად მე მომხვდა.

**— შედეგით, ალბათ, უკმაყოფილო ხარ.**

— რა თქმა უნდა. მოგება შეგვეძლო. მეტოქეს შეცდომები არ გვაპატია.

**— „არსენალზეც" ვთქვათ. კლუბმა უკვე ორი უცხოური შეკრება გაიარა და ბოლომდე საკონტროლო მატჩებიც ჩაატარა...**

— ანთალიური შეკრება ძალიან ნაყოფიერი იყო. კარგად მოვემზადეთ და იმედი მაქვს, ეს უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრეშიც გამოჩნდება.

**— თითქმის ყველა საკონტროლო მატჩში ითამაშე და გოლებიც გაიტანე. ალბათ, მწვრთნელს შენი ისევ სჯერა...**

— ასეა. როცა მწვრთნელი რაიმეს დაგავალებს და შეუსრულებ, ნდობა თავისთავად ჩნდება. ვფიქრობ, „არსენალს" კარგად შევეწყვე და პირველი წრეც საკმაოდ ნორმალურად ჩავატარე. თავი არც შეკრებებზე შემირცხვენია.

**— ამჟამად სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე ხართ. რა არის „არსენალის" მიზანი ამ სეზონში?**

— უეფას თასის საგზურისთვის ვიბრძვით. კლუბის ხელმძღვანელობამ სეზონის წინ ეს მოგვთხოვა და ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა. ჩემპიონატიც თუ ამ ადგილზე დავასრულეთ, მიზანი შესრულებული იქნება.

**— ეს რეალურია?**

— რა თქმა უნდა, უბრძოლველად არაფერი მოვა. ჩვენ კი გაჩერებას არ ვაპირებთ. მშვენიერი კონტინგენტი და მწვრთნელი გვყავს, ფინანსურადაც არ გვიჭირს. ასე რომ, საამისოდ ყველანაირი პირობა გვაქვს.

**— წრეებსშორის შესვენებისას ვიაჩესლავ გროზნის ქართველი ფეხბურთელების გადაბირება სურდა. ახლაც იგივეს აპირებს?**

— ვერაფერს გეტყვით. ფაქტია, რომ „არსენალში" ქართველი მხოლოდ მე ვარ. ისე, თუკი ვინმე ჩვენებური შემოგვემატება, ამას რა აჯობებს.

**ბაჩა შალამბერიძე**



# ნანამ საქართველო სახინკლეში გაიცნო

## ლოკომოტივი ნვოსუს გერმანიაში შეინახავს

*თურქეთმოვლილმა თბილისურმა „ლოკომოტივმა" ორი დღე დაისვენა და წვრთნა გუშინ დილით განაახლა. ლუის ცაკარიასი კმაყოფილია, ანთალიაში ჩინებული შეკრება გავიარეთ, თანაც ისეთი ფორვარდი ვიპოვე, მისი დარი საქართველოს ჩემპიონატში არ ბურთაობსო. რკინიგზელთა ხელმძღვანელების განცხადებით, განელი ნანა ეშონი ლოკომოტიველად შეგვიძლია მივიჩნიოთ, მასთან უმნიშვნელო დეტალებიღა დაგვრჩა შესათანხმებელიო.*

*განელთან მცირე ინტერვიუს ქვემოთ იხილავთ, მანამდე კი თბილისში გამოჩენილ კიდევ ერთ შავ ბიჭზე ვთქვათ, რომელიც ორი დღეა, რკინიგზელებს ლანდივით დასდევს*

**ნიგერიელი** ჰენრი ნვოსუ საქართველოში გუშინწინ ჩამოვიდა და ლუის ცაკარიასს გერმანულ კლუბებში ნათამაშებ ფეხბურთელად გააცნეს. ნვოსუ ფორვარდია, დღეს დაბადებიდან 23-ე წლისთავს იზეიმებს. მისი საფეხბურთო კარიერა ნიგერიულ „ივუანიანვუში" დაწყებულა, საიდანაც ფრანკფურტის „აინტრახტს" წაუყვანია, იქიდან კი მანჰაიმის „ვალდჰოფში" მოხვედრილა.

ჰენრი ვნოსუ „ვალდჰოფში" 2002 წლის 1 ივლისს ჩაირიცხა. მეორე ბუნდესლიგაში 7 საჩემპიონატო და 1 სათასო მატჩი ჩაუტარებია. თავის გუნდს გოლით არ შეწევია და ერთხელღა გაუფრთხილებიათ. 2002 წლის 31 დეკემბერს ნვოსუს „ვალდჰოფთან" კონტრაქტი ამოეწურა და დღეს თავისუფალი აგენტის სტატუსით ცაკარიასის მითითებით ივარჯიშა.

ნიგერიელი დაოჯახებულია, ფეხბურთის გარდა კალათბურთი აინტერესებს და თავისუფალ დროს მუსიკით ერთობა. ნვოსუ თავის დროზე ნიგერიის ოლიმპიური გუნდის წევრიც ყოფილა და თავისი ქვეყნის ნაკრებს სიდნეის ოლიმპიადაზეც ხლებია.

ჰენრი ამბობს, რომ ფორვარდია, მაგრამ ნიგერიელები მას უფრო ნახევარმცველად მოიხსენიებენ. ის თბილისში შაბათამდე დარჩება, მერე გერმანიაში გაემგზავრება და „ლოკომოტივში" მეთოთხმეტე ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაბრუნდება — ასეთია რკინიგზული კლუბის თავკაცებისა და ლუის ცაკარიასის გადაწყვეტილება.

ნანა ეშონი კი „ლოკომოტივში" უკვე შინაურ კაცად ითვლება, პერუელ გალიარდოს და ცაკარიასს გვერდიდან არ შორდება და გარკინიგზელებას აპირებს. ნანას საქართველო — მოლდოვის ახალგაზრდული გუნდების მატჩზე მოვკარით თვალი. ტაიმებს შორის შესვენებისას კი ეს სახელდახელო ინტერვიუც გამოგვივიდა.

— განაში სამი ძმა და ერთი და მყავს. თამაში „სტად ენ ვეისში" დავიწყე, იქიდან კი გერმანიაში აღმოვჩნდი. ძმებიც ფეხბურთელები არიან. უფროსი 23 წლისაა და განის ერთ-ერთ კლუბში თამაშობს. ორი ნაბოლარა კი ახალგაზრდულ გუნდში ბურთაობს. დედა ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს, მე კი საქართველოში ვაპირებ ფეხის მოკიდებას.

**— დორტმუნდის „ბორუსიას" ახალგაზრდულ გუნდში ორი წელიწადი ითამაშე. საქართველოს გარდა სხვა ქვეყანაში მოწყობის პერსპექტივა არ გქონდა?**

— იყო დრო, „ბორუსიას" ძირითად გუნდთან ვვარჯიშობდი და სათადარიგოებთან ვთამაშობდი. თითქოს შორს არ იყო ის დრო, მწვრთნელს 18-კაციან განაცხადშიც ჩავეწერე, მაგრამ დავშავდი და ტრავმამ ჩემი ოცნებებიც დაამსხვრია. ნახეთ, ვინ თამაშობენ „ბორუსიას" წინა ხაზში — ამორიზო, კოლერი, ევერტონი, ისინი გამოცდილი ოსტატები არიან და მივხვდი, დორტმუნდში შანსი არ მექნებოდა.

**— „ლოკომოტივში" შენი დარჩენა გადაწყვეტილია?**

— ლუის ცაკარიასს თამაშის ჩემეული ძალისმიერი მანერა მოსწონს. ჩემი სურვილია, თქვენებურ გუნდში ვიბურთაო, მით უფრო, „ბორუსიასთან" კონტრაქტი აღარ მაკავშირებს. საბოლოოდ „ლოკომოტივის" ხელმძღვანელებმა უნდა თქვან გადამწყვეტი სიტყვა.

**— მათთან რომ ვერ შეთანხმდე?**

— თითქმის ყველა პრობლემა მოგვარებულია. უმნიშვნელო დეტალებიღა დარჩა შესათანხმებელი, მაგრამ თუ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა, სხვა გზას ვეწევი. ნანა არ დაიკარგება და, ალბათ, მსურველიც გამოუჩნდება. აქაურობასთან შეგუება კი არ გამიჭირდებოდა. მართალია, არ ვიცი ქართული, მაგრამ გამართულად ვსაუბრობ გერმანულად და „ლოკომოტივის" მწვრთნელებიც გასაგებად მეტყველებენ ამ ენაზე.

**— რკინიგზელებმა როგორ მიგიღეს?**

— პრობლემა არ მქონია. ჩინებული ბიჭები არიან, ძალიან მეგობრული გუნდი ჩანს. მართალია, ჯერ მათი არ მესმის, მაგრამ იმედია, ქართულ ენას ნაწილობრივ მაინც ავითვისებ და უფრო დავახლოვდებით.

**— ქართული სამზარეულო თუ მოგეწონა?**

— გემრიელი კერძები გცოდნიათ, მაგრამ თქვენებური ხინკალი და ხაჭაპური მართლაც შეუდარებელი საჭმელია (ნანას ხინკალის და ხაჭაპურის გამოთქმა, რა თქმა უნდა, გაუჭირდა, მაგრამ გვერდზე მჯდომი „ლოკომოტივის" ერთ-ერთი მწვრთნელი, ზაზა დალუნაშვილი დაიხმარა და ჩვენც მიგვახვედრა, რისი შექებაც სურდა).

**— ჩვენებური ახალგაზრდების თამაშზე რას იტყვი?**

— ნიჭიერი და ტექნიკური ბიჭები ჩანან, მაგრამ ძალიან ნელა თამაშობენ. ალბათ, ბოლომდე მომზადებულები არ არიან. ცოტა დაღლილობაც ემჩნევათ.

**მამუკა ძვანტალიანი**



ლუის ცაკარიასი: გაიცანით, ნანა ეშონი და ჰენრი ნვოსუ



# მესამე და 4:0

**ანთალიურ** შეკრებაზე მყოფმა თბილისურმა „ვიტ ჯორჯიამ" რიგით მესამე საკონტროლო მატჩი ითამაშა და წინა ორისგან განსხვავებით, გაიმარჯვა. ჯანი კარნევალის ბიჭები, აქამდე კიევის „არსენალთან" და რუმინულ „ალბასთან" რომ დამარცხდნენ, გუშინ რუსული პრემიერლიგის „ტორპედო-მეტალურგმა" ვერ შეაჩერა. სერგეი ალეინიკოვმა ვეტერინარების წინააღმდეგ სათამაშოდ მეორე შემადგენლობა გაიყვანა და საქმეც სანანებლად გაიხადა.

ვიტალი გოჩაშვილის დუბლს ადამიამ და მარცვალაძემ თითოც მიამატეს და 4:0 მოიგეს. ჯანი კარნევალის სასტარტო თერთმეტეული გუშინ ასეთი გახლდათ:

*მერლანი, ლ. მერებაშვილი, კობიაშვილი, მუჯირი, გველესიანი, გოჩაშვილი, ნოზაძე, დიდმელაშვილი, დოლიძე, ადამია, მელქაძე;*

მეორე ტაიმში იტალიელმა შანსი ამათ მისცა: *ბოლქვაძე, დ. ლომაია, იმედაშვილი, ე. მერებაშვილი, მარცვალაძე, ზაზაშვილი, ლ. ალადაშვილი, დათუნაიშვილი.*

„ვიტ ჯორჯია" თურქულ შეკრებას 15 თებერვალს დაასრულებს და შინისკენ გამოეშურება.

**მამუკა ძვანტალიანი**



ჯანი კარნევალი

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
# ჩვენი მეტოქეები

## ვისხოვროთ და ვითამაშოთ უკინოდ
### კერი მასპინძელი გამოდგა

**ირლანდია**

**შოტლანდია 0:2 ირლანდია**

**0:1 კილბეინი (9), 0:2 მორისონი (17)**
**შოტლანდია: სალივანი (გალაჰერი 46), რ. ანდერსონი, ნეისმიტი, კოლდუელი, დეილი, ბ. ფერგიუსონი (კამერონი 64), ალექსანდერი, კროუფორდი (ს. ტომპსონი 64), დ. მაჩისონი (ჯემილი 46), ლამბერტი (დევლინი 46), ნ. მაკკანი (ჯ. სმიტი 64)**
**ირლანდია: დ. კელი (კოლგანი 80), კარი, ჰარტი, ოში (რ. დანი 80), ბრინი (ე. ობრაიენი 89), ჰოლანდი, რიდი (კარსლი 77), კინსელა (ჰელი 77), დოჰერტი (კონოლი 72), მორისონი, კილბეინი**
**მწვრთნელი: ბრაიან კერი**
**მსაჯი: ბრაამჰაარი (ჰოლანდია)**
**33 337 მაყურებელი**

**ირლანდიის ნაკრების** ახალმა მენეჯერმა, ბრაიან კერიმ გამარჯვებით დაიწყო თავისი სანაკრებო კარიერა და სქოთებთან მატჩით კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მის გუნდს როი კინის გარეშეც შეუძლია კარგად თამაში. ირლანდიელებმა 2:0 მოიგეს ამხანაგური შეხვედრა გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე", სქოთების ნაკრების წინააღმდეგ. ორივე გოლი თამაშის პირველ ოც წუთში გაიტანეს კევინ კილბეინმა და კლინტონ მორისონმა.

თავად კერი ძალიან კმაყოფილი დარჩა ამ შედეგით და ჟურნალისტებთან საუბარი კინის გამოთხოვებით დაიწყო: „ბიჭები მშვიდად შეხვდნენ ამ ამბავს. წუხელ მათ ავუხსენი, რომ ის, რაც ვარჯიშებზე დავისწავლეთ, ჩვენი ერთობით უნდა გადავიტანოთ მოედანზე და ჩემს ამ ნათქვამს მხარდამჭერი შეძახილები მოჰყვა. მიზანდასახულად ვითამაშეთ. ბიჭები და ჩემი თანაშემწეები, კრის ჰოუტონი და პატ ბონერი მადლობის ღირსნი არიან".

ნაკრებს 28 წლის იფსვიჩელმა მეტ ჰოლანდმა უკაპიტნა.

„ახლა ჩვენ უნდა მივეჩვიოთ როი კინის გარეშე ყოფნას და წინ ვიყუროთ" — თქვა მან.

ირლანდიელებს თამაშის სადავეები ხელიდან არც გაუშვიათ.

მე-9 წუთზე იან ჰარტმა ჩააწოდა, სტივენ რიდმა ბურთი კილბეინს აუგდო და ამანაც თავურით გაუტანა ნილ სალივანს.

სქოთთა საქმე კიდევ რვა წუთში გაუარესდა, როცა სალივანმა მარკ კინსელას ჩაწოდებულის სიმაღლე ვერ გამოთვალა და ბურთი მორისონს მიუვიდა. ეს ორბურთიანი უპირატესობა ირლანდიელებს ხელიდან აღარ გაუშვიათ.

„არ ვმალავდი, რომ მოსაგებად ჩამოვედით" — ხარობდა კერი.

სამაგიეროდ, გუნებაზე ვერ იყო სქოთთა მენეჯერი ბერტი ფოგთსი, რომელმაც ყველაფერი ცუდ დასაწყისს გადააბრალა. „როცა მეჩვიდმეტე წუთზე შენივე შეცდომებით აგებ, ძალიან ძნელია რამე მოუხერხო ძლიერ მოწინააღმდეგეს — თქვა მან — ირლანდიელები ისეთი რწმენით თამაშობდნენ, თითქოს მასპინძლები იყვნენ. ისე, მეორე ტაიმში არა გვიშავდა".

სქოთები ევრო 2004-ის შესარჩევ მატჩში 29 მარტს მასპინძლობენ ისლანდიელებს და ფოგთსმა თქვა, რომ შეცდომების მიუხედავად, კარში კვლავ სალივანი იდგება: „ის, რაც მეორე ტაიმში ვაჩვენეთ, საკმარისია ისლანდიელთა დასამარცხებლად".

შესარჩევ ჯგუფში სქოთებს ორი თამაშიდან ოთხი ქულა აქვთ და ჯგუფის ლიდერ გერმანიას ორი ქულით ჩამორჩებიან. ისლანდიელებთან ერთად ჯგუფში არიან ლიტველები და ფარერელები.

**ირაკლი გამყრელიძე**



იან ჰარტმა (№3) და მისმა ირლანდიამ შოტლანდიელებს ფეხი დაუდეს

## ბოშანი უღმერთოდ გვემეს
### იაკობ კუნმა ჯგუფი შეაზანზარა

**შვეიცარია**

**სლოვენია 1:5 შვეიცარია**

**0:1 იაკინი (2), 0:2 ჰაასი (29), 0:3 ფრეი (36), 0:4 კაბანასი (50), 0:5 ფრეი (77), 1:5 რაკოვიჩი (78)**
**სლოვენია: სიმეუნოვიჩი (დაბანოვიჩი 60), ჩეხარი, ნ. ჩეჰი, ბულაიჩი, კნავსი, შუკალო (გაიზერი 60), შილიაკი, ზაჰოვიჩი, პავლინი, ციმეროტიჩი (რაკოვიჩი 67), აჩიმოვიჩი (ზლოგარი 76)**
**შვეიცარია: ცუბერბიულერი, ჰაასი, ბერნერი (რ. მაიერი 46), ანშო (კელერი 73), მიულერი, ფოგელი (სელესტინი 46), კაბანასი, ვიკი (კანტალუპი 76), ფრეი, ჰ. იაკინი, შაპუიზა (ლ. ტურე 67)**
**მწვრთნელი: იაკობ კუნი**
**მსაჯი: აბრაჰამი (უნგრეთი)**
**3 200 მაყურებელი**



იაკობ კუნი

**შვეიცარიამ** ევროშესარჩევის თანაჯგუფელები, მათ შორის საქართველოც კიდევ ერთხელ შეაშინა თავისი ჩინებული თამაშით. შარშან სტუმრად ირლანდიის მძლეველმა იაკობ კუნმა მშვიდად განაგრძო შრომა და მოსავალი ზამთარშიც აიღო.

სლოვენიასთან მატჩში სტუმრებმა ყველაფერი, რაც ამხანაგობასთანაა დაკავშირებული, გვერდზე გადადეს და მასპინძლებს მრისხანედ ეკვეთნენ. საბრალო მარკო სიმეუნოვიჩი ბოჟან პრაშნიკარმა მას შემდეგღა შეცვალა, ხუთი გოლი რომ გაუშვა.

სიმეუნოვიჩის ტანჯვა მეორე წუთზევე დაიწყო, როცა ჰაკან იაკინმა მეკარეს შანსი არ დაუტოვა და ანგარიში გახსნა. სწრაფმა გოლმა სლოვენია არია. მასპინძლებმა თამაშის აწყობა ვერ შეძლეს. მათი მდგომარეობა ბერნტ ჰაასმა ტაიმის შუაწელში გატანილი მეორე გოლით გააუარესა. სლოვენია მთლად აიწეწა ალექსანდრ ფრეის მესამე გოლის შემდეგ, შვეიცარიელებს კი ყველაფერი კარგად გამოსდიოდათ.

ბოჟან პრაშნიკარმა შესვენებაზე შეცვლები არ გააკეთა და პირველ ნახევარში მოთამაშეებთ შანსი კიდევ მისცა. დამხვდურებმა მეორე ტაიმის დასაწყისში კი გაიფაფხურეს, მაგრამ ახლა უკვე რიკარდო კაბანასმა გადაასხა მათ ცივი წყალი თავისი გოლით. მხოლოდ 0:4-ზე იკადრა პრაშნიკარმა ცვლილებების განხორციელება, თუმცა მასპინძლებს ვერც ამან უშველა. ალექსანდრ ფრეიმ თავისი მეორე გოლიც მიითვალა და იქვე ერმინ რაკოვიჩმა ერთი გაქვითა.

**მაშა ხუციშვილი**

## კვიპროსობა
### გაზაევმა ბიჭებს კლასი შეუქო, ჯანი დაუწუნა

**რუსეთი**

**კვიპროსი 0:1 რუსეთი**

**0:1 ხოხლოვი (42)**
**კვიპროსი: პანაიოტუ, კონაფისი, იოაკიმი, გეორგიუ, ხ. ნიკოლაუ (სპირუ 15), თეოდოტუ, ოკასი (საციასი 59), მ. კონსტანტინუ, მ. ნიკოლაუ, ტომიჩი (კონსტანტინოსი 75), იასუმი (გ. კონსტანტინუ 83)**
**რუსეთი: ჩიჟოვი (მანდრიკინი 46), ნიჟეგოროდოვი, სოლომატინი, სმერტინი, ევსიკოვი, ხოხლოვი (ალდონინი 46), ონოპკო, კარპინი (გუსევი 62), სიჩევი (კირიჩენკო 46; კარიაკა 75), ლოსკოვი (ა. ბერეზუცკი 89), ბესჩასტნიხი (კერჟაკოვი 46)**
**მწვრთნელი: ვალერი გაზაევი**
**მსაჯი: ეფტიმიადისი (საბერძნეთი)**
**1 000 მაყურებელი**

**კვიპროსის** ოთხთა ტურნირზე რუსეთის ნაკრებმა იქაურებს მოუგო და ფინალში რუმინეთს შეხვდება, რომელმაც თავის მხრივ სლოვაკეთი 2:1 დაამარცხა.

ვალერი გაზაევმა მასპინძელთა წინააღმდეგ სანაკრებოდ გამოძახებული ხუთივე ლეგიონერი ათამაშა, რომლებსაც რუსეთის პრემიერლიგელებიც დაუმატა. კარში კი დებიუტანტი, რამენსკოეს „სატურნის" მეკარე ჩიჟოვი ჩააყენა.

ტურნირის დაწყებამდე გაზაევმა მიზანი გაამხილა: „ჩვენ ღირსეული მეტოქეები გვყავს და მატჩებს სრული სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ. თუნდაც იგივე კვიპროსმა საფრანგეთს დიდი წინააღმდეგობა გაუწია და ევრო 2004-ის შესარჩევ შეხვედრაში მხოლოდ 1:2 დამარცხდა".

მატჩის დღეს ამინდმა აურია, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს კვიპროსში საკმაოდ თბილა. ძლიერმა წვიმამ რუსთა ნაკრების დაგეგმილი ვარჯიშიც ჩაშალა და მოედანიც გვარიანად დატბორა. უამინდობამ შეხვედრის დაწყება ათი წუთით გადაწია.

პირველი ტაიმის განმავლობაში სტუმრებმა მასპინძლებს საკუთარ საჯარიმოში ცხვირი არ შეაყოფინეს. რუსები თოვლ-ჭყაპში ბურთაობას ბავშვობიდან შეჩვეულნი არიან და ნაცნობ პირობებში არ გასჭირვებიათ. კვიპროსელთა მეკარე პანაიოტუს მეტოქის ფორვარდები გამუდმებით აწუხებდნენ. განსაკუთრებით „მარსელის" დმიტრი სიჩევი იყო მონდომებული, რომელსაც მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა, „ფენერბაჰჩეს" ბესჩასტნიხმაც მხარი აუბა და პანაიოტუ დაცხრილეს.

რუსებმა პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიში მაინც გახსნეს. სველ მინდორზე ხოხლოვმა რამდენიმე მცველი ჩამოიშორა და ზუსტად დაარტყა. ხოხლოვი „რეალ სოსიედადის" ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება, არც გაზაევი უყურებდა მოწყალე თვალით, თუმცა მისი გამოძახება მწვრთნელს ამჯერად დაუფასდა.

შესვენების შემდეგ რუსთა ნაკრების თავკაცმა ექვსი ფეხბურთელი კი შეცვალა, მაგრამ ცვლილებებით ვერ იხეირა. ბესჩასტნიხს და სიჩევს კერჟაკოვი და კირიჩენკო ჩაენაცვლა. კერჟაკოვი მეტ-ნაკლებად აქტიურობდა, კირიჩენკო კი საერთოდ დაიკარგა მოედანზე და გაზაევმა ნახევარ საათში უკან გაიხმო — მის მაგივრად კარიაკა შეუშვა. კერჟაკოვმა აქტივში ძელსგარტყმული ბურთი ჩაიწერა. მეორე ტაიმში რუსთა თამაში გაფერმკრთალდა და დიდად საინტერესო არაფერი მომხდარა.

*ვალერი გაზაევი:* „ჩვენ მეტოქე კლასის ხარჯზე დავამარცხეთ, რადგან გუნდმა ოდენ შესაძლებლობის ნახევარი აჩვენა. ლეგიონერებს, რომლებმაც გასულ უქმეებზე საკუთარ კლუბებში ითამაშეს, დაღლა ეტყობოდათ და ამ ფაქტმაც გავლენა იქონია".

**მაშა ხუციშვილი**

**ახალგაზრდულები**

**ეგვიპტე 2:1 რუსეთი**

**1:0 მაჰმუდი (6), 1:1 გოგნიევი (27), 2:1 აბდელვაჰედი (80პ)**
**რუსეთი: გაბულოვი (აკინფეევი 46), კუზმინი (შაგიახმეტოვი 70), როგოჩი, ბელოზეროვი, ვ. ბერეზუცკი, მიტკინი (ტლისოვი 25), კოლოდინი, სმირნოვი, ვანიუშინი (ნახუშევი 80), პავლიუჩენკო (ხამიტოვი 75), გოგნიევი (ვინოგრადოვი 46)**
**მწვრთნელი: ანდრეი ჩერნიშოვი**
**40 000 მაყურებელი**

## ვნახეთ ძაფები
### საქართველოს ნაკრებს ქირურგიც რომ არ ჰყავს?!



*შოტლანდია — ირლანდიის გლაზგოურ მატჩს შოტლანდიაში მოთამაშე ქართველმა ლეგიონერებმაც უყურეს და მომავალი მეტოქე საქმეში ნახეს. გუშინ გლაზგოს „რეინჯერსის" ფორვარდ შოთა არველაძეს შევეხმიანეთ და ამ მატჩზე დავეკითხეთ:*

— მძიმე თამაში იყო, მაგრამ ირლანდიამ პირველ ტაიმშივე მოითავა საქმე. ჩვენმა მომავალმა მეტოქეებმა ორივე გოლი სტანდარტულებიდან გაიტანეს — მათი ჩაწოდებები ძალიან სახიფათო იყო. ირლანდიამ მატჩამდე ორჯერ ივარჯიშა გლაზგოში და როგორც თვითმხილველებმა მითხრეს, წვრთნებზე ძალიან ბევრ დროს უთმობდნენ სტანდარტულების დახვეწას.

— ზოგადად რა შთაბეჭდილება დატოვა ირლანდიის ნაკრებმა?

— ძალიან სერიოზული გუნდია. ასე ვთქვათ, ფეხბურთს ნაკლებად თამაშობს, მაგრამ არც მეტოქესაც აძლევს ამის საშუალებას. ირლანდიამ ძალიან ჩაკეტილად ითამაშა და ძალიან მაგრად. თანაგუნდელები ერთმანეთს კარგად უგებდნენ, ზუსტად კარნახობდნენ ერთურთს. ირლანდიელი ფეხბურთელები თითქოს ერთ ძაფზე იყვნენ გამობმულნი — საითაც გაწევდი ამ ძაფს, ყველა იქითკენ მიდიოდა.

— ირლანდიას ახალი მწვრთნელი ჰყავს და ეს ფაქტორი გუნდს მნიშვნელოვნად დაეტყო?

— საქმე ისაა, რომ ირლანდიის ნაკრები კარგა ხნით ადრე აწყობილი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს, ახალმა მწვრთნელმა კი შესაძლოა, რაღაც ცვლილებები მოახდინოს.

— ირლანდიელი ფეხბურთელები ინდივიდუალური თამაშით არ გამოირჩეოდნენ?

— უფრო გუნდურად თამაშობენ, ინდივიდუალიზმი, ფაქტობრივად, არ ყოფილა, მაგრამ ისიცაა, რომ მათ ამ მატჩისთვის არ ჰყოლიათ როი კინი და დაფი.

— როგორ შეიძლება ასეთ გუნდთან წარმატების მიღწევა?

— მაინც უფრო ინდივიდუალური თამაშის ხარჯზე, მაგრამ ამას აუცილებლად უნდა უმაგრებდეს ზურგს სათამაშო დისციპლინა და მთლიანად გუნდის მობილურობა.

**დავით თავართქილაძე**

# ამხანაგური მატჩები




ფაბრიციო მიკოლიმ ლამაზად დარტყმა მოინდომა

# აი, თამაში!

## მოგებულიც და წაგებულიც კმაყოფილი დარჩა

**იტალია 1:0 პორტუგალია**

**1:0 კორადი (62)**

**იტალია: ტოლდო (ბუფონი 46), პანუჩი, ნესტა, ფ. კანავარო (ლეგროტალიე 76), ძამბროტა, კამორანეზი (ფიორე 81), კ. ძანეტი (ამბროზინი 59), პეროტა, დელვეკიო (ბირინდელი 59), მიკოლი, კორადი (ფ. ინძაგი 72)**

**პორტუგალია: რიკარდუ, მეირა, ფ. კოუტუ (ჟორჟე ანდრადე 83), როშა (ლურეირუ 46), ს. კონსეისაუ (პ. ფერეირა 46), ტიაგო (პოსტიგა 70), რუი კოშტა (ბოა მორტე 61), ნუნუ ვალენტე (რუი ჟორჟე 78), ფიგუ, (სილასი 61) სიმაო (მენდეში 61), პაულეტა (მიგელი 79)**

**მსაჯი: ჰ. ფანდელი (გერმანია)**

**35 000 მაყურებელი**

**ამბობენ**, „სკუადრა აძურას" ცუდი პერიოდი დამთავრდაო. ვფიქრობთ, ამ განცხადების სისწორეს მაინც დრო გამოაჩენს, მაგრამ, მეორე მხრივ, იტალიელებს ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად მიეცათ: გუნდმა, რომელსაც ბოლო რვა თამაშიდან მხოლოდ ერთი, აზერბაიჯანთან ჰქონდა მოგებული, ლუიშ ფელიპე სკოლარის დარიგებულ ლუიშ ფიგუსა და კომპანიას, ანუ პორტუგალიის ნაკრებს მოუგო. ერთი სიტყვით, „სკუადრას" მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის სახეზე ღიმილი დაუბრუნდა.

აქვე აღსანიშნავია, რომ დონ ტრაპის განკარგულებაში ტრავმათა გამო ბევრი წამყვანი ფეხბურთელი არ იყო და მას ფრიად ექსპერიმენტული შემადგენლობის გამოცდა მოუხდა. მატჩის ერთადერთი გოლიც ნაკრების დებიუტანტმა, ბერნარდო კორადიმ გაიტანა. „ეს გამარჯვება ნებისმიერი თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იყო — ბრძანა პრესკონფერენციაზე ტრაპატონიმ — საძაგელი შედეგების შემდეგ გამარჯვება გვჭირდებოდა".

გაირკვა, რომ ხანდაზმული მწვრთნელი განსაკუთრებით სამმა ფეხბურთელმა დასტოვა კმაყოფილი, ზემოხსენებული გოლის ავტორმა კორადიმ, გაიტალიელებულმა არგენტინელმა, მაურო კამორანეზიმ და პერუჯელმა ფაბრიციო მიკოლიმ, რომელმაც ბოლო დროს განსაკუთრებით მიიქცია ყურადღება. კამორანეზიმ თავის ფრთაზე დიდძალი სამუშაო გასწია, ხოლო მიკოლიმ კორადის გოლში დაიდო წილი.

„ყველაზე მეტად ამ სამეულმა მომაწონა თავი. ნუ დაგვავიწყდება, რომ კამორანეზის ფუნქცია დანარჩენ ორთან შედარებით ნაკლებად თვალშისაცემი იყო, კორადიზე და მიკოლიზე კი იმას გეტყვით, რომ მათ მხოლოდ გოლით არ გამახარეს. მათი თამაში მთლიანობაში გახლდათ საშაგალითო, ისევე ირჯებოდნენ, როგორც კლუბებში ირჯებიან" — განმარტა ტრაპატონიმ და დასძინა, რომ ქების ღირსი ექვსთვიანი მკურნალობის შემდეგ დაბრუნებული ინტერელი ნახევარმცველი კრისტიანო ძანეტიც გახლდათ.

მაგრამ, ვინაიდან ბოლოხანს ყველაზე მეტს მაინც მიკოლიზე ლაპარაკობენ, ამ ფეხბურთელზე საგანგებოდ შევჩერდეთ. დონ ტრაპის თქმით, იგი მნიშვნელოვანი შენაძენია და, თქვენ წარმოიდგინეთ, მიკოლის გვარი კრისტიან ვიერის, ალესანდრო დელ პიეროს და ფრანჩესკო ტოტის გვარების გვერდითაც კი ახსენა.

„ვინც გვაკლდა დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მათ არყოფნაში თავიანთი შანსი სხვებმა გამოიყენეს. მიკოლის დრიბლინგი, ბურთის ფლობა და მოძრაობა ჩვენს ადრინდელ არსენალს ძალიან სასარგებლოდ შეემატება".

კმაყოფილი გახლდათ თავად მიკოლიც: „ამ ათნომრიანი მაისურის შინ წაღებას და გამოფენას ვაპირებ, მაგრამ ისიც მესმის, რომ ჩემზე წინ დიდი ფეხბურთელები არიან და, ამიტომ, ზედმეტი ხმაურის უფლებასაც არ მივცემ თავს".

სადებიუტო შეხვედრაში შეგდებული გოლის ავტორი კორადი კი მაინცდამაინც აღელვებული არ ჩანდა, თუმცა ასე ამბობდა:

„ეს ახდენილი ოცნებაა. მე მხოლოდ ბოლო წუთებში თამაშის იმედი მქონდა, სინამდვილე კი უკეთესი გამოდგა, სასტარტო შემადგენლობაშიც მოვხვდი და გოლიც შევაგდე".

კეთილი. ეს, რაც ვილაპარაკეთ იტალიური ბანაკისა იყო, ახლა კი დამარცხებულ მხარეს მივხედოთ. პორტუგალიელთათვის „სკუადრა აძურასთან" თამაში ბრაზილიელი მწვრთნელის, მსოფლიოს ჩემპიონი ლუიშ ფელიპე სკოლარის დებიუტიო გახლდათ მნიშვნელოვანი.

„წავაგეთ, მაგრამ სანერვიულო არაფერია — თქვა დიდმა ფილმა — მე მხოლოდ 20 დღეა, რაც პორტუგალიის ნაკრებს ვხელმძღვანელობ, გუნდის ასაწყობად კი გაცილებით მეტი დროა საჭირო. დღეს ნანახმა დამარწმუნა, რომ სწორი მიმართულების მისაღწევად ბევრი რამის შეცვლა არ არის საჭირო. დღეს ყველა ფეხბურთელმა გააკეთა ის, რაც ვთხოვე და ეს, მნიშვნელოვანია. ცხადია, გამოსასწორებელი საკითხებიც დავინახე, მაგრამ ბევრი კუთხით კმაყოფილი დავრჩი".

სკოლარიმ, ტრაპატონის მსგავსად, რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოსცადა. კერძოდ, მოედანზე გამოჩნდნენ ლუიშ ლურეირუ, მიგელი და „ბენფიკას" ცენტრალური ნახევარმცველი ტიაგო, რომლისთვისაც იტალიელებთან თამაში ნაკრების შემადგენლობაში მეორე იყო. ტიაგოს თამაშმა მართლაც მიიქცია ყურადღება.

სკოლარის განცხადებით, მომავალ შეხვედრებში დღევანდელი 21-წლამდელთა ნაკრების მოთამაშეები მეტად და მეტად გამოჩნდებიან".

„მეორე ტაიმში ბევრი ფეხბურთელი შევცვალე, რათა ახალგაზრდებისთვისაც შემევლო თვალი. მომავალში კიდევ ვაპირებ დებიუტანტების გამოცდას".

ვეტერანმა ნახევარმცველმა რუი კოშტამ კი თქვა, რომ სკოლარის თავისი გავლენის დასამკვიდრებლად ჯერ დიდი დრო დასჭირდება.

„ჩვენ ახალი პროექტის სათავესთან ვდგავართ, ფაქტია, ბევრი რამ შეიცვლება. ახალი მწვრთნელის გარდა გუნდში ახალი მოთამაშეებიც უნდა გამოჩნდნენ, ამიტომ, დრო დაგვჭირდება. სკოლარის და თამაშის მისეულ ვარიანტს ალბათ ხომ უნდა ავუღოთ? იგი ჩვენთან მსოფლიოს ჩემპიონის გამოცდილებით მოვიდა და, ბუნებრივია, ბევრი რამის სწავლება შეუძლია".

შეგახსენებთ, რომ პორტუგალიის ნაკრებს ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად შესარჩევი შეჯიბრების გავლა არ სჭირდება — იგი მასპინძელია. ეს იმას ნიშნავს, რომ მართლა კარგ, საბრძოლო ფორმაში ყოფნა პორტუგალიელებს მხოლოდ 18 თვის შემდეგ მოეთხოვებათ, მანამდე კი ამხანაგურ შეხვედრებში უნდა ამუშაონ თამაშის სხვადასხვა ვარიანტები.

„ეს თამაშები მართალია, ამხანაგურია, მაგრამ ჩვენთვის ფასეული გახლავთ. ამიტომაც ვფიქრობ, რომ სტიმულის პრობლემა არ გვექნება. მომავალ ზაფხულზე პორტუგალიელები მასპინძლები ვიქნებით, მასპინძლებს კი შეჯიბრების მოგების საგანგებო სურვილი აქვთ, ხოლმე" — დასძინა რუი კოშტამ.

**პაატა ძიძია**

# მოგება კარგია, ფერგიუსონი ცუდი, არგენტინა ძლიერი!

**ჰოლანდია 1:0 არგენტინა**

**1:0 ვან ბრონკჰორსტი (87)**

**ჰოლანდია: ვატერეუსი, რიკსენი, სტამი (რაიციგერი 46), ფ. დე ბური, ზენდენი, ზეედორფი, ვან ბომელი (ვან ბრონკჰორსტი 71), კოკუ (ბოსველტი 81), დავიდსი, კლუივერტი, ვან ნისტელროი (მაკაი 46)**

**არგენტინა: კავალიერო, კიროგა, რ. აიალა, ვ. სამუელი, ხ. ძანეტი, ვერონი (კამბიასო 74), აიმარი, სორინი, ორტეგა (გალიარდო 63), კ. ლოპესი (სოლარი 81), გ. ლოპესი (სავიოლა 58)**

**მსაჯი: კ. ნილსენი (დანია)**

**39 000 მაყურებელი**

„ამსტერდამ არენაზე", სადაც ჰოლანდია არგენტინას მასპინძლობდა, თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა ასეთი გოლი გაიტანა: მარჯვნიდან ბურთი კლარენს ზეედორფმა ჩააწოდა, ვან ბრონკჰორსტმა კი ფეხი ჰკრა და არგენტინელი მეკარის, პაბლო კავალიეროს კარში შეაგდო. აქვე აღვნიშნოთ, რომ მანამდე კავალიერომ რამდენჯერმე იხსნა არგენტინელების კარი.

„კლარენსი მარჯვენა ფრთაზე მიიწევდა წინ და ჩამაწოდა. ამ დროს არგენტინელი მცველები მოუხერხებლად იდგნენ, რამაც დარტყმის გამოსაზომად დრო მომცა. ამიტომაც მოვირგე ბურთი ფეხზე ჩინებულად" — განაცხადა შემდეგ ვან ბრონკჰორსტმა.

კავალიერო რომ შევაქეთ, მაგალითით დავადასტურით. მეორე ტაიმი მიდიოდა, როდესაც არგენტინელმა გოლკიპერმა პატრიკ კლუივერტის თავურს ბრწყინვალედ აუღო ალღო.

მე-18 წუთზე ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა, რუუდ ვან ნისტელროიმ ძელს გაარტყა ბურთი. ეს იმ კუთხურის მერე მოხდა, როდესაც ვან ნისტელროიმდე ბურთს ფრანკ დე ბური შეწვდა და თავით უკან გადაიგდო. აღსანიშნავია ისიც, რომ ვან ნისტელროიმ წინასწარი შეთანხმების თანახმად, მოედანი პირველი ტაიმის შემდეგ დასტოვა. შეთანხმებას თავი „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი, ალექს ფერგიუსონი ყოფილა, რომელიც თავისი ფეხბურთელების ძალ-ღონეზე ზრუნავს.

„მორჩა, ასეთ შეთანხმებაზე უკანასკნელად წავედი — გადიზიანდა ჰოლანდიის ეროვნული გუნდის თავკაცი დიკ ადვოკაატი — მე ვან ნისტელროი შევცვალე, არგენტინის ნაკრებში კი „მანჩესტერ იუნაიტედის" მეორე ფეხბურთელმა, ხუან სებასტიან ვერონმა ორი ტაიმი ითამაშა".

მასპინძელთა საჯარიმოშიც შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი, მაგრამ ხან ბოლო პასი არ გამოდიოდა, ერთხელაც მარსელო გალიარდომ 22 მეტრიდან ოდნავ აცილა საჯარიმო დარტყმა. სხვათა შორის, ვან ბრონკჰორსტის გოლამდე სამი წუთით ადრე ხავიერ სავიოლას შეეძლო სტუმრების დაწინაურება, მაგრამ, ამ ეპიზოდში ჰოლანდიელთა მეკარემ, რონალდ ვატერეუსმა იხსნა.

„პირველ თხუთმეტ წუთში სამი საგოლე მომენტი შევქმენით. ამ დონეზე რომ თამაშობ, ასეთი შემთხვევები ხელიდან არ უნდა გაუშვა, რათა შემდეგ, მთელი თამაშის განმავლობაში უფრო თავისუფლად ისუნთქო — თავისას ამბობდა ადვოკაატი, — არგენტინა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია. მან გვაიძულა გრძელი პასით გვეთამაშა, როგორც კი ბურთს ვილებდით, გვაწვებოდა. არგენტინელთა წყალობით ჩვენს თამაშში ბევრი ისეთი მომენტი შევნიშნე, რომლებზეც მომავალში უნდა ვიმუშაო, თუმცა ვეჭვობ, მარტში ჩეხებმაც ასეთ ტაქტიკას მიმართონ".

ამ შეხვედრამ სტატისტიკოსების ბლოკნოტებში ახალი ჩანაწერი გააჩინა: ჰოლანდიის ნაკრებმა თავისი ისტორიის საუკეთესო შედეგი, ზედიზედ მეათე მოგება გაიფორმა. რაც შეეხება ჰოლანდიელთა და არგენტინელთა დაპირისპირებას, ეს გახლდათ ჰოლანდიელების მეოთხე გამარჯვება მეექვსე შეხვედრიდან. აქ იგულისხმება 1978 და 1998 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე გამართული მატჩებიც. ერთადერთი მოგება, რომელიც სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყანას ნიდერლანდელებთან მოუპოვებია, ბუენოს აირესში, 1978 წლის მსოფლიოს პირველობის დაუვიწყარ ფინალში იყო.

**პაატა ძიძია**




გუსტავო ლოპესთან ორთაბრძოლაში
ედგარ დავიდსმა კინაღამ სათვალე დაკარგა

# ამხანაგური მატჩები




ტონი პოპოვიჩმა გარი ნევილს (№2) დაასწრო და დევიდ ჯეიმსს გაუტანა




## ხომ არ დავასვენოთ სვენი?
## ბიჭი XIX საუკუნიდან



უეინ რუნი

**ინგლისი 1:3 ავსტრალია**

**0:1 პოპოვიჩი (17), 0:2 კიუელი (42), 1:2 ჯეფერსი (69), 1:3 ემერტონი (84)**

**ინგლისი: ჯეიმსი (პ. რობინსონი 46), გ. ნევილი (მილსი 46), რ. ფერდინანდი (კონჩესკი 46), ს. კემპბელი (უესლი ბრაუნი 46), ეშლი კოული (კინგი 46), ბექემი (მარგრივსი 46), სქოულზი (დენი მერფი 46), ლამპარდი (ჯენასი 46), დაიერი (ვასელი 46), ოუენი (რუნი 46), ბიტი (ჯეფერსი 46)**

**ავსტრალია: შვარცერი, ნაილი, კ. მური, პოპოვიჩი (ტ. ვიდმარი 72), ლაზარიდისი, ემერტონი, სკოკო (ბრეშიანო 46), ოკონი, ჩიპერფილდი (გრელა 77), კიუელი (ალოიზი 57), ვიდუკა (სტერიოვსკი 85)**

**მსაჯი: მ. მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)**

**34 590 მაყურებელი**

ინგლისის ნაკრებმა თავის ისტორიაში — იცოცხლეთ, ხანგრძლივი აქვს — ერთ-ერთი [illegible] მარცხი იწვნია ლონდონის „აპტონ პარკზე" ავსტრალიასთან ამხანაგურ მატჩში. ისიც აღვნიშნოთ, რომ კენგურუს ქვეყნელთა გამარჯვება სავსებით დამსახურებული გახლდათ.

ტონი პოპოვიჩმა ადრიანად დააწინაურა სტუმრები, რასაც ჰარი კიუელმა მეორე მიაყოლა — ეს ორი გოლი პირველი ტაიმისაა, ანუ მაშინ გავიდა, როცა სვენ გორან ერიკსონი თავისი რჩეული ბიჭებით თამაშობდა.

შესვენების მერე ერიკსონმა დაპირება აღასრულა და 25 წელზე უმცროსი ფეხბურთელები შეიყვანა მოედანზე. ამ ცვლილებამ თითქოს გაამართლა კიდეც, რაკი დებიუტანტმა ფრენსის ჯეფერსმა ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ ავსტრალიელმა ბრეტ ემერტონმა მალევე და ძალიან იოლადაც შეაგდო მესამე ბურთი, რითაც განგაშის ზარი ჩამოჰკრა ინგლისელთა ბანაკში. ამ ზარმა ხალხს აუწყა, რომ ინგლისის ნაკრები იოლად ვერ გავა პირველ ადგილზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში.

ეს მარცხი ზედიზედ მეორე წარუმატებელი თამაში გამოდგა ერიკსონისთვის. მოგეხსენებათ, იქამდე ინგლისმა მაკედონიის დამარცხება ვერ შეძლო შესარჩევ ეტაპზე და ამ გაზაფხულზე ჯგუფის ლიდერ თურქეთთანაც თუ წააგო, ვინძლო პლეიოფის გავლით მოუწიოს პორტუგალიის საგზურისთვის ბრძოლა.

ავსტრალიამ თავიდანვე ძალუმ შეუტია და მეკარე დევიდ ჯეიმსს საქმე არ გამოლევია. ვესტჰემელმა კარის დარაჯმა გაჭირვებით მოიგერია კიუელის ოციოდე მეტრიდან ვერაგულად დარტყმული ბურთი, მეორე სახიფათო იერიშისას კი დანებდა. სტენ ლაზარიდისმა საჯარიმო დარტყმით მასპინძელთა კარის სიახლოვეს ჩაჰკიდა ბურთი, სადაც კრისტალპალასელმა პოპოვიჩმა საჰაერო ორთაბრძოლაში დაჯაბნა გარი ნევილი და შორეულ კუთხეში გაიტანა.

წუთის მერე პოლ სქოულზმა კი გაქვითა, მაგრამ მსაჯმა იქამდე წესის დარღვევა შენიშნა და გოლი არ ჩათვალა.

ავსტრალია კვლავ უკეთ თამაშობდა და მარკ ვიდუკამ, კიუელმა და სკოტ ჩიპერფილდმა ჯეიმსის დაწიოკება განაგრძეს. მეორე გოლისას კი კიუელმა იოლად ჩამოიცილა რიო ფერდინანდი და მეკარეც იოლად დაიბრიყვა.

შესვენებაზე „აპტონ პარკმა" სტვენით გააცილა თავისი გუნდი, ხოლო როცა გამომცხადებელმა აუწყა, მეორე ტაიმში თერთმეტივე ფეხბურთელი შეიცვლებაო, სტადიონმა მხიარული გუგუნი ატეხა.

ახალშესულთა შორის იყო ევერტონელი უეინ რუნიც, რომელიც სრულიად ინგლისის ახალი რეკორდის პატრონი შეიქნა. ის უყრმესი ფეხბურთელია ინგლისის ნაკრებში ოდესმე მოთამაშეთა შორის. ოთხშაბათს რუნი 17 წლისა და 111 დღისა იყო. ძველი რეკორდი კი „კლეფემ როვერსის" ჯეიმს პრინსერს ეკუთვნოდა, რომელიც თავისი სადებიუტო მატჩის დღეს რუნიზე 142 დღით უფროსი იყო. პრინსერის დებიუტი... 1879 წელს შედგა.

რუნი გამოირჩეოდა სხვა ჭაბუკ ინგლისელ ფეხბურთელთა შორის და ჯეფერსის გოლამდე რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტია მეტოქის კარს. საპასუხო გოლი კი 19 წლის ჯერმენ ჯენასის ყოჩაღობის მოჰყვა, რომელმაც მარჯვენა ფლანგი გაარღვია და საგოლედ ჩააწოდა ჯეფერსს.

მაგრამ ისიცაა, რომ ამ გოლის მერე მასპინძლებს ხეირიანი მომენტი აღარც ჰქონიათ, ემერტონმა კი ახლოდან დარტყმით გაიტანა მესამე. აქამდე ავსტრალია ხუთჯერ შეხვედროდა ინგლისს და ორი ფრის გარდა ვერაფერს გამორჩენოდა.

ნამატჩევს სვენ გორან ერიკსონს სახეზე იმედგაცრუების ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

„ვითარება არც ისე საგანგაშოა, როგორც ანგარიშის მიხედვით შეიძლება ჩანდეს — თქვა შვედმა — ამგვარი რამეები ხდება, კონცენტრაცია გვაკლდა, რაც მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ამხანაგური მატჩებისთვის. დარწმუნებული ვარ, ასეთ შეცდომებს ოფიციალურ შეხვედრებში არ დავუშვებთ. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი მარცხი მორალურად ვერ გაგვტეხს. თუმც ხალხისაც მესმის, ქომაგებმა დაგვისტვინეს, რადგან ინგლისელისთვის მისი ნაკრების ნებისმიერი წარუმატებლობა ძალიან მძიმე გადასატანია. ახალბედა ფეხბურთელებით კი კმაყოფილი ვარ. რამდენიმე მათგანი უკვე დღეს მზად არის პრინციპულ მატჩებში სათამაშოდ. რუნის გამოვრჩევ. ყოველთვის, როცა ის ბურთს მიიღებდა, სახიფათო მომენტის შექმნის მოლოდინში ვიყავით."

ერიკსონი იხტიბარს არ იტეხს, მაგრამ თამაშის დასრულებისთანავე საბუქმეიკერო კანტორა „უილიამ ჰილმა" ფსონების მიღება დაიწყო შვედის ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე მოხსნაზე.

**ირაკლი ნინიძე**

# გაბედეთ და არ დაზოგოთ!

**საფრანგეთი 0:2 ჩეხეთი**

**0:1 გრიგერა (7), 0:2 ბაროში (62)**

**საფრანგეთი: რამე, ტურამი, გალასი, დესაი, ლიზარაზუ (მ. სილვესტრი 75), მაკელელე (ვიეირა 46), ე. პეტი (პედრეტი 75), ზიდანი, ვილტორდი (პირესი 46), ანრი (ჯ. სისე 66), მარლე (ტრეზეგე 46)**

**ჩეხეთი: ჩეხი, გრიგერა, გალაშეკი, ბოლფი, იუჭფალუში, იანკულოვსკი (პეტროუში 89), პობორსკი (მუბშმანი 77), როსიცკი (რ. დოშტალეკი 60), ნედვედი, კოლერი (ბაროში 60; ლოკვენცი 80), შმიცერი (ვახოუშეკი 18)**

**მსაჯი: ვ. შტარკი (გერმანია)**

**60 000 მაყურებელი**

ჩეხეთის ნაკრებმა პარიზში 2:0 მოიგო. შედეგი სრულიად ობიექტური გახლდათ, სტუმართა გამარჯვება — დამსახურებული. პირველი გოლი მე-7 წუთზე გავიდა, როდესაც მცველმა ზდენეკ გრიგერამ 25 მეტრიდან დაარტყა, ხოლო ფრანგთა მეკარე ულრიხ რამემ, რომელიც იმ დღეს დაშავებული ფაბიენ ბარტეზის ნაცვლად იდგა კარში, ამ დარტყმულის გაშვება მოახერხა — ბურთი ხელებში გაუძვრა. მე-60 წუთზე,ჩეხთა შემადგენლობაში შეცვლაზე შესულმა მილან ბაროშმა კი მეორე გოლი გაიტანა.

ეს გახლდათ ევროპის ჩემპიონთა პირველი მარცხი ჟაკ სანტინის ხელში. სტუმრები ძალიან სოლიდურ გუნდად წარმოჩნდნენ, განსაკუთრებით კი მათმა დაცვამ გამოიჩინა თავი. ფრანგებს ბოლო ხუთ შეხვედრაში 14 გოლი ჰქონდათ შეგდებული, ამ შეხვედრაში კი ჯაგლაზ, ვერაფერიც ვერ შეძლეს.

მასპინძლების საუკეთესო შანსი მცველს, უილიამ გალასს ჰქონდა. მან ახლოდან ააცილა. რაც შეეხება შეცვლაზე შესულ ჯიბრილ სისეს, მან მეკარის ბაქნიდან სცადა ბედი, მაგრამ ჩეხთა გოლკიპერს, პეტერ ჩეხს ვერ აჯობა. ეს შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე მოხდა.

ზინედინ ზიდანმა, რომელსაც ნაკრებში ერთი ხანი არ ეთამაშა, ბევრი ვერაფერი შესძინა ლურჯებს. „რეალის" გამთამაშებელი საუკეთესო ფორმიდან ძალიან შორს ჩანდა. მეტიც, პირველ გოლში ნაწილობრივ მასაც მიუძღოდა ბრალი — ბურთი დაკარგა.

მეორე ტაიმში „ლურჯების" შემადგენლობაში არსენალელი რობერ პირესი და იუვენტუსელი დავიდ ტრეზეგეც გამოჩნდნენ და ისინიც უნიათოდ ირჯებოდნენ.

„ფეხბურთელების ასეთ თამაშს ნამდვილად არ ველოდი — განაცხადა მატჩის შემდეგ ჟაკ სანტინიმ, — ჩვენ უკიდურესად ნელა და გაუბედავად ვმოქმედებდით. ჩეხები შეხვედრას ისე მიუდგნენ, თითქოს ის ოფიციალური ყოფილიყო. მათ თავი არ დაზოგეს, ამის საწინააღმდეგო იარაღი კი არსენალში არ აღმოგვაჩნდა. თანაც, მატჩის დასაწყისშივე გოლის გაშვებით თავი ცუდ დღეში ჩავიგდეთ. უილიამ გალასმა საოცარი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, რასაც მეტოქის შეტევა და ჩვენს კარში შეგდებული მეორე გოლი მოჰყვა".

შეგახსენებთ, რომ ფრანგებმა პარიზში მაისში, ბელგიასთანაც წააგეს 1:2. მას მერე გუნდმა პირწმინდად შეირცხვინა თავი მსოფლიოს ჩემპიონატზე, ხოლო ამ სეზონში, ჯერჯერობით მხოლოდ სუსტ მეტოქეებს უმკლავდება.

„როდესაც აგებ, უნდა იცოდე, რომ ხალხი დაგისტვენს. სტადიონზე ადამიანები თავისიანების მხარდასაჭერად და გამარჯვების სანახავად დადიან. მათი განაწყენება ჩემთვის სავსებით გასაგებია — დასძინა სანტინიმ — ახლა ჩემი ამოცანა ამ მარცხის გავლენის ფეხბურთელთათვის არიდებაა. ჩვენ უნდა დავუფიქრდეთ, რა მოხდა და გაკვეთილი უახლოესი ორი თამაშის მოსაგებად გამოვიყენოთ".

ფრანგებს ეს ორი თამაში, მარტში მალტასთან და აპრილში ისრაელთან ელით. შესარჩევ ჯგუფში, რომელსაც უეფამ პირველი ნომერი დაარქვა, კიდევ კვიპროსი და სლოვენია არიან.

„ჩეხთა გამარჯვებაზე კი, აბა, რა ვთქვა. ამ გუნდმა ერთხელაც დაამტკიცა, რომ ბოლოდროინდელი წარმატებები ტყუილად არ მოუპოვებია" — დააგვირგვინა სანტინიმ.




ტომაშ გალაშეკმა (მარცხნივ) და ბიჭენტ ლიზარაზუმ ბურთისკენ მწოლიარეებმაც გაიწიეს

სარბიელი და კროკი
წარმოგიდგენთ

## გერმანია
### ბუნდესლიგა. XXI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 002 | მიუნხენი-ბაიერნი | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| 18.30 | 003 | ნიურნბერგი-ვერდერი | 2,8 | 3,3 | 2,3 | 1,51 | 1,26 | 1,35 |
| 18.30 | 004 | ლევერკუზენი-ჰანზა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 005 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.30 | 006 | შალკე-შტუტგარტი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.30 | 007 | არმინია-კაიზერსლაუტერნი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | |
| 20.30 | 008 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 20.30 | 009 | კოტბუსი-ჰანოვერი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |

## გერმანია
### II ბუნდესლიგა. XXI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 თებერვალი** | | | | | | |
| 22.00 | 010 | ლიუბეკი-ფრაიბურგი | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| 22.00 | 011 | ბრაუნშვაიგი-სტ.პაული | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 22.00 | 012 | დუისბურგი-კარლსრუე | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1.1 | 1,25 | 2,03 |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 013 | ალემანია-ბურგჰაუზენი | 1.7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.00 | 014 | ალენი-ფიურტი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 18.00 | 015 | უნიონი-როიტლინგენი | 2,2 | 3,0 | 3,3 | 1,26 | 1,32 | 1,57 |
| 18.00 | 016 | მაინცი-ობერჰაუზენი | 1,65 | 3,4 | 5,6 | 1,11 | 1,27 | 2.11 |
| 18.00 | 017 | ტრიერი-ვალდჰოფი | 1,65 | 3,5 | 4,7 | 1,12 | 1,22 | 2 |
| | | **17 თებერვალი** | | | | | | |
| 23.15 | 018 | აინტრახტი-კიოლნი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |

## ინგლისი
### I დივიზიონი. XXXII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 17.00 | 019 | მილუოლი-რედინგი | 2.2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 19.00 | 020 | ბრედფორდი-ბრაიტონი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 021 | დერბი-უოლსოლი | 1.65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 19.00 | 022 | ჯილინგემი-გრიმსბი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 023 | როტერჰემი-ქოვენტრი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| | | **17 თებერვალი** | | | | | | |
| 24.00 | 024 | ლესტერი-პორტსმუთი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XXXII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 028 | კოლჩესტერი-მენსფილდი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1.24 | 1,27 | 1,64 |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 029 | ბარნსლი-ჩესტერფილდი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 030 | ბლეკპული-ბრენტფორდი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.00 | 031 | ქრიუ-უიგანი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 032 | ჰადერსფილდი-ჩელტენჰემი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 033 | ლუტონი-ნორთჰემპტონი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 19.00 | 034 | ნოტსი-ბრისტოლი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 19.00 | 035 | პიტერბრო-კარდიფი | 3,3 | 3,3 | 2,05 | 1,64 | 1,26 | 1,26 |
| 19.00 | 036 | პლიმუთი-ტრანმერი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 037 | ქუინზ პარკ-პორტ ვეილი | 1.55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 19.00 | 038 | სტოკპორტი-ოლდემი | 3,0 | 3,1 | 2,3 | 1,52 | 1,3 | 1,32 |
| 19.00 | 039 | სუინდონი-უიკომი | 1,85 | 3,2 | 4.0 | 1,17 | 1.26 | 1,77 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XXXII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 044 | როჩდეილი-ბორნმუთი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 19.00 | 045 | ბერი-ლინკოლნი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 19.00 | 046 | ექსეტერი-ბოსტონი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 047 | კიდერმინსტერი-ტორკი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
**0:1 ვიტეკი (6), 1:1 დ. მუნტიანუ (38), 2:1 განეა (41)**

**ბულგარეთი — უნგრეთი**

**1:0 იანკოვიჩი (36)**

***მატჩი ძლიერი წვიმის გამო ჩაიშალა***

ფეხბურთი ყველანაირ ამინდში კი ითამაშება, მაგრამ ამინდსაც გააჩნია. როცა თამაში წყალბურთს უფრო ჰგავს, ვიდრე ფეხბურთს, სჯობს, მოთამაშეები სახლში წავიდნენ.

ამგვარი რამ დაემართათ ბულგარეთისა და უნგრეთის ნაკრებებს, რომლებიც ამხანაგურად გასაჯიბრებლად კვიპროსზე შეიყარნენ და თავსხმა წვიმამ გაჰყარა.

მატჩი საკურორტო ქალაქ ლარნაკაში დაიწყო წვიმის თანხლებით და 36-ე წუთზე ზორან იანკოვიჩმა ბულგარელები დააწინაურა. წვიმა თანდათან გაძლიერდა და მსაჯმა რის ვაი-ვაგლახით ჩაამთავრა პირველი ტაიმი. მერე კი ორივე გუნდთან შეთანხმებით ბრძანა, თამაშის გაგრძელებას აზრი აღარ აქვსო.

**2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. 12 თებერვალი**

# სალოლ, აზერბაიჯან!

**IX ჯგუფი. IV ტური**

**სერბ. და ჩერნ. 2:2 აზერბაიჯანი**

**1:0 მიატოვიჩი (32პ), 2:0 ლაზეტიჩი (54), 2:1, 2:2 ყურბანოვი (60, 78)**

**სერბ. და ჩერნ: ჟევრიჩი, დუდიჩი, ბუნიევჩევიჩი, ნ. ჯორჯევიჩი, ლაზეტიჩი (მარკოვიჩი 75), დ. სტანკოვიჩი, ბრანკო ბოშკოვიჩი, ვუკიჩი, მიატოვიჩი (ლიუბოია 71), მილოშევიჩი, კეჟმანი (დულიაი 65)**

**აზერბაიჯანი: ჰასანზადე, ახმედოვი, ა. მამედოვი, იადულაევი, კ. გულიევი, მ. გურბანოვი, იმამალიევი, რ. გულიევი, ისმაილოვი, ალიევი, ყ. ყურბანოვი (რ. მამედოვი 87)**

**მსაჯი: იაცეკ გრანატი (პოლონეთი)**

**8 000 მაყურებელი**

**ამ დღეებში** პოლიტიკურ მიზეზთა გამო იუგოსლავიას სახელი შეეცვალა და დაუგრძელდა, ახლა სერბეთად და ჩერნოგორიად იწოდება. ჰოდა, ცხადია, ამ ქვეყნის ნაკრებიც ამიერიდან ახალი სახელით უნდა მოვიხსენიოთ.

ბალკანელებს ახალი სახელით პირველი მატჩი ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანელებთან ჰქონდათ, თანაც ოფიციალური და რა გასაკვირია, რომ იოლ გამარჯვებას ელოდნენ. მით უფრო, რომ აზერბაიჯანელებს მეცხრე შესარჩევ ჯგუფში აქამდე სამი თამაში ჩაუტარებიათ და ქულაც ვერ მოუხვეჭიათ.

ყველაფერი აქეთკენაც მიდიოდა. პრედრაგ მიატოვიჩმა ნიკოლა ლაზეტიჩის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი აქცია გოლად, პენალტის მომნადირებელმა ლაზეტიჩმა კი მეორე ტაიმის მეცხრე წუთზე სრულიად შემთხვევით გაიტანა — ბურთის მეტოქის საჯარიმოში ჩაკიდება უნდოდა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა და სტუმართა მეკარე ჰასანზადეს ზურგს უკან ჩაეშვა.

უნდოდათ — გაიტანეს, არ უნდოდათ — მაინც გაიტანეს და საქმის ამგვარად წასვლამ მასპინძლები დაამშვიდა, ჩვენი მომგები ეგენი არ არიანო და როგორც ხდება, დაისაჯნენ. მაგრამ ერთიცაა, აზერბაიჯანელებს ორი გაშვებული ბურთის მერე ყურები რომ ჩამოეყარათ, სენსაცია არ შედგებოდა.

სამაღარიჩო საქმე ყურბან ყურბანოვმა გააკეთა, რომლის დუბლმაც კავკასიელებს პირველი საკვალიფიკაციო ქულა მოუტანა. ყურბანოვმა ჯერ ზამირ ალიევის საჯარიმო დარტყმას უცვალა მიმართულება და სერბთა კარის დარაჯი დრაგოსლავ ჟევრიჩი სახტად დატოვა, ხოლო როცა კმილ იმამალიევის პასით ყურბანოვმა მეორეც შეაგდო, პოდგორიცას სტადიონზე შეკრებილმა რვა ათასმა ქომაგმა „იუგოსლავია, იუგოსლავია!" ძახილი საბოლოოდ შეწყვიტა. „სერბეთი და ჩერნიგორია" საყვირლად ცოტა მოუხერხებელი სახელია.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| სერბ. და ჩერნ. | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ფინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| აზერბაიჯანი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:9 | 1 |




„ოქროს გოლის“ წესი რომ არა, „ლივერპულ“ — „ალავესის“ უეფას თასის ფინალის 9-გოლიან ტრილერში ეგებ, მეტი გოლიც გასულიყო

# რა წესია?!

## ოქროს გოლი შეივერცხლა

მოგვიტევეთ და, ამ უეფასი ვერაფერი გავიგეთ. საქმის ვითარებას ახლავე მოგახსენებთ: მას მერე, რაც ფიფა-უეფამ „ოქროს გოლის“ წესი დანერგა, გამუდმებით იმაზე ლაპარაკი, მეტად უსამართლო წესია და ისევ ძველი სჯობდაო. არგუმენტირებული მოსაზრებაა, რაკი გოლგაშვებულ გუნდს თამაშის გადარჩენის შანსი ესპობა, არადა, გაიხსენეთ, წარსულში რამდენი ბრწყინვალე დამატებითი ტაიმები გვინახავს. „ოქროს გოლის“ გამოისობით კი გუნდები მეტწილად იმაზეღა ფიქრობენ, როგორმე არ გაუშვათო და შესაბამისად, დამატებითი ტაიმების ყურება მოსაწყენია ხოლმე.

ერთი სიტყვით, „ოქროს გოლის“ წესის გაუქმების საკითხი ნელ-ნელა მომწიფდა და უეფამაც, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, რაღაც ახალ ვარიანტებზე დაიწყო ფიქრი.

უეფას შტაბ-ბინაში, შვეიცარიულ ნიონში, ორ დღეს გრძელდებოდა და ოთხშაბათს დასრულდა ევროპის კლუბთა ფორუმი. შეგახსენებთ, რომ ფორუმი 102 ევროპულ კლუბს აერთიანებს და უეფას საკონსულტაციო ორგანოს წარმოადგენს.

ფორუმზე სხვა საკითხებთან ერთად „ოქროს გოლის“ წესის გაუქმებაზეც იმსჯელეს და უეფას დასამტკიცებლად „ვერცხლის გოლის“ პროექტი წარუდგინეს. „ვერცხლის გოლი“ რაღაც შუალედური ვარიანტია ძველ წესსა და „ოქროს გოლს“ შორის.

„ვერცხლის გოლის“ წესის თანახმად, დამატებით დროში გატანილი გოლის შემდეგ თამაში არ წყდება და ტაიმის დასრულებამდე გაგრძელდება. ესე იგი, თუ ერთი გუნდი გოლს პირველ დამატებით ტაიმში გაიტანს, მოწინააღმდეგეს ტაიმის ბოლომდე ეძლევა გაქვითვის საშუალება და თუ ვერ მოახერხებს, მეორე დამატებითი ტაიმი აღარ ჩატარდება.

თავში რომ ვთქვით, უეფასი ვერაფერი გავიგეთო, იმის თქმა გვსურდა, რომ რა საჭიროა, რაღაც შუალედური ვარიანტების მოფიქრება და მიქარულის სანახევროდ გამოსწორება. ხომ შეიძლებოდა პირდაპირ ეთქვათ, „ოქროს გოლმა“ არ გაამართლა და ისევ ძველ წესს დავუბრუნდეთო.

ისე კი, თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ვერცხლის გოლის“ წესს უკვე მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგის საპლეიოფო ეტაპზე გამოიყენებენ და ევროპის ჩემპიონატზეც ეს წესი იმოქმედებს.

„ოქროს გოლის“ გაუქმების ერთი მიზეზი უსაფრთხოებასაც უკავშირდება. ამ დროს ხომ პოლიციამ არ იცის, თამაში რა მომენტში შეწყდება და მატჩის დასრულების მერე შესაძლო ექსცესებისთვის მზად არ არის.

ფორუმზე ხელოვნურსაფარიანი მოედნების გამოყენებაზეც ისაუბრეს. „არსენალის“ ვიცე-თავმჯდომარე დევიდ დინმა თქვა, ინგლისში ასეთ მოედნებს „ქუინზ პარკ რეინჯერსი“, „ლუტონი“, „ოლდემი“ და „პრესტონი“ იყენებენ და ამით არაფერი შავდებაო.

**ირაკლი ნინიძე**

# უეფამ ზეედორფი ამხილა

## ჰოლანდიელს 900 ათასი მოწმე ჰყავს

*„მილანმა“ სეზონის დასაწყისიდან რომ აკრიფა და თამამს თამაშზე იგებდა, ამ საქმეში ჰოლანდიელი კლარენს ზეედორფის ფეხიც ერია. მან აშკარად გააძლიერა კარლო ანჩელოტის გუნდის შუახაზი და ერთობ სასარგებლოდ იღვაწა.*

*ამას წინათ უეფამ თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოკითხვა ჩაატარა, რომელსაც გასული წლის სიმბოლური ნაკრები უნდა გამოევლინა. ამ ნაკრებში ორი მილანელი მოხვდა — ზეედორფი და ალესანდრო ნესტა. აღსანიშნავია, რომ გამოკითხვაში მონაწილე სრულიად მსოფლიოს ქომაგთაგან ჰოლანდიელს დაახლოებით 900 ათასი ხმა ერგო.*




**მიუხედავად ამისა,** თვითონ ფეხბურთელი შარშანდელით მთლად კმაყოფილი არაა: „გახარებული კი ვარ, რომ მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში აღმოვჩნდი, თუმცა შარშანდელ სეზონს წარმატებულს ვერ ვუწოდებ, რადგან ტიტულები არ მომიგია და ჩემს ყულაბაში ოდენ რამდენიმე ჯილდო ჩხრიალებს. ვფიქრობ, სპორტსმენის კარიერაში შედეგები ძალიან მნიშვნელოვანია“.

„მილანის“ ჰოლანდიელი ლეგიონერი იმ ხუთეულის წევრია, რომლებსაც ჩემპიონთა ლიგა ორ სხვადასხვა გუნდში მოუგია — ამსტერდამის „აიაქსში“ და მადრიდის „რეალში“. ამჟამად ზეედორფს სჯერა, რომ იგივეს „მილანის“ მაისურითაც შეძლებს. ჯგუფში დორტმუნდის „ბორუსიისა“ და მადრიდის „რეალის“ დამარცხების შემდეგ „შავწითლები“ ცალი ფეხით თითქმის მეოთხედფინალში არიან.

„ჩვენ ფორმის შესანარჩუნებლად ინტენსიურად ვვარჯიშობთ, თქვა ჰოლანდიელმა, ვცდილობთ, ნებისმიერი მატჩი მაღალ დონეზე ჩავატაროთ. გუნდი მალე პიკს მიაღწევს, რადგან მუდმივად წუნის აღმოფხვრაზე ვმუშაობთ. გვსურს, ჩემპიონთა ლიგას მაქსიმალურად მომზადებულნი შევხვდეთ და მოსკოვის „ლოკომოტივთან“ ორივე თამაში მოვიგოთ. თუ რუსებთან ქქვს ქულას ავიღებთ, მერე მადრიდში გულდამშვიდებულნი წავალთ“.

ზეედორფმა ამ სეზონში „მილანისთვის“ მხოლოდ 4 გოლი გაიტანა, მაგრამ სულაც არ წუწუნებს: „მერე რა? მთავარია, რომ ახალ გუნდს კარგად შევეწყვე და ძველებურად ავთამაშდი. ახლა, როცა წარსულს ვიხსენებ, დარწმუნებული ვარ, ჩემი გადასვლა „ინტერიდან“ „მილანში“ სავსებით სწორი ნაბიჯი იყო. აქ ყველაფერი კარგად გამომდის, გუნდი იგებს, ეს კი უმთავრესია“.

ზოგიერთი სპეციალისტი ზეედორფის კარგ თამაშს იმით ხსნის, რომ ჰოლანდიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდა, ანუ ჰოლანდიელს დასვენების უფრო მეტი საშუალება ჰქონდა, ვიდრე სხვებს. თვითონ ფეხბურთელი ამ აზრს აღმაცერად უყურებს:

„მსოფლიოს ჩემპიონატს ადრეულ ეტაპზევე ბევრი კარგი გუნდი ჩამოშორდა, მაგრამ არა მგონია, რომ ამით ფეხბურთელებმა იხეირეს. შეიძლება ნაკლები მატჩის ჩატარება და მეტი დასვენება უკეთესია, მაგრამ ერთთვიანი შვებულება ყველას ჰქონდა“.

26 წლის კლარენს ზეედორფი, სოლიდური წარსულის მიუხედავად, მაინც განვითარებაზე, პროგრესზე ფიქრობს: „ვერ ვიწინასწარმეტყველებ, როდის მივაღწევ მაქსიმუმს, ყოველწლიურად ვიზრდები, როგორც ფეხბურთელი. სწავლა ყოველთვის შეიძლება, თუ ამის სურვილი არსებობს“.

**გაგა ხუციშვილი**

### კონფედერაციის თასი 2003 საფრანგეთი. 18-29 ივნისი

# თუ ტელევიზიას უნდა...

**ოთხშაბათს** პარიზში, საფრანგეთი — ჩეხეთის მატჩის წინ წლევანდელი კონფედერაციათა თასის წილისყრა მოეწყო. მოგეხსენებათ, ამ ტურნირში კონტინენტთა ჩემპიონები, მსოფლიოს ჩემპიონი და ერთიც მიწვეული გუნდი თამაშობენ. მიწვეული გუნდის ვინაობა კარგა ხანს გაურკვეველი იყო, რადგან გერმანიამ შეთავაზებაზე უარი თქვა და საბოლოოდ ფიფამ მუნდიალის ერთ-ერთი აღმოჩენა თურქეთის ნაკრები დაიყოლია.

შეჯიბრებას 18-29 ივნისს, საფრანგეთის სამი ქალაქი — პარიზი, ლიონი და სენტ ეტიენი უმასპინძლებენ.

წილისყრისას კალათებიდან ბურთულები ფრანგთა ნაკრების ოდინდელ კაპიტან ლორან ბლანს ამოჰქონდა და გუნდები იმდაგვარად დაწყვილდნენ, რომ B ჯგუფი A-ზე ბევრად ძლიერია. აქ თურქებისგან ბრაზილიაზე რევანშის აღებას უნდა ველოდოთ, მუნდიალის ნახევარფინალში დამარცხებისთვის, ხოლო A ჯგუფის მთავარი შეხვედრა საფრანგეთ — იაპონია იქნება. ეს გუნდები თასის 2001 წლის გათამაშების ფინალისტები არიან და მაშინ ფრანგებმა აზიელებს 1:0 მოუგეს.

წილისყრის მერე ფრანგთა კიდევ ერთმა ძველმა კაპიტანმა მიშელ პლატინიმ თქვა, გუნდები საინტერესოდ დაწყვილდნენ და თურქეთმა, ამერიკამ და კამერუნმა უნდა დაამტკიცონ, რომ მუნდიალზე მათი კარგი თამაში შემთხვევითობა არ იყოო.

საფრანგეთის ნაკრების მენეჯერმა ანრი ემილმა კი დასძინა: ჩვენთვის ეს ტურნირი ბევრს ნიშნავს. კონფედერაციათა თასზე თამაში საუკეთესო საშუალებაა ახალბედა ფეხბურთელების გამოსაცდელადო.

სწორედ ახალბედების, თორემ ვარსკვლავები და მათი კლუბები რა ხანია, ამრეზით უყურებენ ამ გათამაშებას. ევროპის კლუბთა ფორუმის ოთხშაბათის სხდომაზე, რომელსაც 102 წევრი კლუბიდან 80-ის წარმომადგენელი დაესწრო, გადაწყდა, რომ ამ შეჯიბრებაზე სათამაშოდ ისინი წამყვან ფეხბურთელებს არ გაუშვებენ.

საერთოდ კი, კონფედერაციათა თასის გაუქმება მხოლოდ დროის ამბავია. მიშელ პლატინიმ განაცხადა, მომდევნო ათ წელიწადში თასის მატჩების ტრანსლაციის უფლება უკვე გაყიდულია და, შესაბამისად, ვერაფერი შეიცვლება, მერე კი შეჯიბრება ალბათ, გაუქმდებაო.

**ირაკლი ნინიძე**

| | | |
|---|---|---|
| **A ჯგუფი** | | |
| საფრანგეთი, იაპონია, კოლუმბია, ახალი ზელანდია | | |
| 18.06 | პარიზი | ახალი ზელანდია — იაპონია |
| | ლიონი | საფრანგეთი — კოლუმბია |
| 20.06 | ლიონი | კოლუმბია — ახალი ზელანდია |
| | სენტ ეტიენი | საფრანგეთი — იაპონია |
| 22.06 | პარიზი | საფრანგეთი — ახალი ზელანდია |
| | სენტ ეტიენი | იაპონია — კოლუმბია |
| **B ჯგუფი** | | |
| ბრაზილია, აშშ, კამერუნი, თურქეთი | | |
| 19.06 | სენტ ეტიენი | თურქეთი — აშშ |
| | პარიზი | ბრაზილია — კამერუნი |
| 21.06 | პარიზი | კამერუნი — თურქეთი |
| | ლიონი | ბრაზილია — აშშ |
| 23.06 | სენტ ეტიენი | ბრაზილია — თურქეთი |
| | ლიონი | აშშ — კამერუნი |
| **ნახევარფინალი** | | |
| 26.06 | ლიონი | B1 — A2 |
| | პარიზი | A1 — B2 |

*მესამე ადგილისთვის მატჩი გაიმართება 28 ივნისს სენტ ეტიენში*
*ფინალი — 29 ივნისს პარიზში, „სტად დე ფრანსზე“*

Copa Toyota Libertadores '2003

### ლიბერტადორესის თასი 2003

**IV ჯგუფი. I ტური**

ალიანსა (პერუ) 1:1 ოლიმპია (პარაგვაი)

0:1 ე. ლოპესი (11), 1:1 სოტო (68)

კობრელოა (ჩილე) 0:0 ხიმნასია (არგენტინა)

**V ჯგუფი. II ტური**

უნამი (მექსიკა) 2:0 ბოლივარი (ბოლივია)

1:0 ლ. გონსალესი (32), 2:0 ხ. ლოპესი (65)


სიახლე ბაკურიანში!



ფრანგმა ქალბატონმა სასტუმრო *„საქაში“* ჩამოაყალიბა ბავშვთა სათხილამურო სკოლა

- სასტუმროს ტერიტორიაზე მოქმედებს მინი საბაგირო გზა მუდმივი დენით;
- უზრუნველყოფა თანამედროვე სათხილამურო ინვენტარით;
- თხილამურებზე სრიალის სწავლება 2 წლის ასაკიდან ფრანგული მეთოდებით;
- ორ და სამადგილიანი კომფორტაბელური ნომრები;
- უფრო კვალიფიციურად სავარჯიშოდ მსურველები გაიგზავნებიან საფრანგეთის მუდმივთოვლიან კურორტ ვალდიზერში.

რაც მთავარია, შეღავათიანი ფასები

ბაკურიანი, კოსტავას №25 ტელ.: 8 (99) 10-24-63; 8 (99) 91-57-60


ნიკა ცქიტიშვილს პრობლემები და ქულები მოუმრავლდა


ჯეფ ბზდელიკი ცქიტიშვილს გაუმკაცრდა

ახლა მთელი ამერიკა ბომბდამშენად ქცეულ კობი ბრაიანტზე ლაპარაკობს და მათ შორის დენვერელებიც. თუმცა კოლორადოელები ნიკა ცქიტიშვილის გარშემოც ტრიალებენ, ცხადია იმდენად, რამდენადაც დაუღვინებელი ქართველი იმსახურებს. გუშინწინ ბრაიანტის „ლეიკერსმა" და ცქიტიშვილის „ნაგიტსმა" დენვერში იბრძოლეს და თუ კობისთვის ეს მატჩი სეზონის საუკეთესო, 51-ქულიანი იყო, ნიკასთვის კარიერის მწვერვალი გამოდგა. მან 17 ქულა მიითვალა, მაგრამ მხოლოდ ამიტომ როდი მოექცა ქართველი ყურადღების ცენტრში. ამ მატჩამდე ერთი დღით ადრე ამერიკელმა სამართალდამცავებმა ცქიტიშვილი 7 საათი გისოსებსმიღმა აყურყუტეს. ესენი ვინ ყოფილან, დენვერში თბილისზე სასტიკი პოლიციელები ყოფილან, თუ ბიჭი ვარ, არ შემარჩენო, გვითხრა ნიკამ.

ცქიტიშვილის „სარბიელთან" ინტერვიუ „დენვერ" — „ლეიკერსის" დასრულებიდან ორიოდ საათში შედგა და, ცხადია, ამ მატჩზე საუბრით დაიწყო...

# ცქიტიშვილს კოპები დააჯდნენ ასეთი უნამუსო პოლიციელები თბილისშიც არ მინახავს

— მატჩამდე მწვრთნელმა დამიბარა და ჩემს მომავალზე სერიოზულად მელაპარაკა, მითხრა უკვე დროა, ხალხს შენი შესაძლებლობები უჩვენო, დრაფტის მეხუთე ნომერი ხარ და უფრო მეტი მოგეთხოვებაო. ბზდელიკმა ასე ვთქვათ, ნამუსზე ამაგდო და დააყოლა, ამიერიდან მეტს მოგთხოვო... ვიცოდი, რომ „ლეიკერსთან" საკმარისად მათამაშებდა და მაქსიმალურად მობილიზებული შევხვდი ამ მატჩს.

**— როგორ ფიქრობ, ბზდელიკი რომ არ დაგლაპარაკებოდა, ასე კარგად ვერ ითამაშებდი?**

— ვერ ვიტყვი, რომ ბზდელიკის საუბარმა დიდი გავლენა იქონია ჩემზე. პირიქით, მწვრთნელის კატეგორიულობას წესით უფრო უნდა შევებოჭე. ბზდელიკმა პირდაპირ მომთხოვა კარგი თამაში. მოედანზე რომ გავედი, ვიცოდი, დიდი პასუხისმგებლობა მეკისრებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერს კარგად გავართვი თავი და საუკეთესო მატჩიც ვითამაშე.

**— ბზდელიკმა საკმარისად, თუმც არც ისე ბევრი, 22 წუთი გათამაშა. მიუხედავად ამისა, მაინც მოახერხე 17 ქულის გაკეთება, რაც ახალბედასთვის მართლაც კარგი შედეგია...**

— ეს მატჩი ჩემთვის იმითაც იყო გამორჩეული, რომ უხეირო დებიუტის შემდეგ მოვახერხე რიტმის დაჭერა. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ პირველ სროლას, თუ ვერ ჩავაგდე, მერე მიჭირს ხოლმე. მოედანზე წამების შესული ვიყავი, საჯარიმო ხაზზე რომ აღმოვჩნდი და ორივე სროლა ავაცილე. თუმც მალევე ჩავაგდე სამქულიანი და ყველაფერი კარგად ამეწყო.

**— „ლეიკერსთან" 11 საჯარიმო ესროლე, რაც აქამდე არასდროს მომხდარა. ეს ფაქტი ფარქვეშ შენს გააქტიურებაზე მიანიშნებს. ბზდელიკმა ამპლუა ხომ არ შეგიცვალა?**

— არა, ისევ სამი ნომერი ვარ, მაგრამ რაც ჯანი მომემატა, ფარქვეშ უფრო ხშირად შევდივარ ხოლმე. თუ ადრე ძირითადად საშუალო და შორი სროლების იმედად ვიყავი, ახლა უფრო უშიშრად მივიწევ მეტოქის ზონაში. „ლეიკერსთან" პასიურობა რომ გამომეჩინა, 17 ქულას ვერ მოვაგროვებდი, 9-ჯერ ხომ საჯარიმო ხაზიდან ვისროლე.

**— „ლეიკერსის" ფარქვეშა ზონა შაკილ ონილის სამფლობელოა, შენ კი, როგორც ამასწინად გვითხარი, შაკთან საბრძოლველად ძალები არ შეგწევს...**

— შაკს არც ახლა შევჭიდებულვარ, მას მხოლოდ ერთი-ორჯერ გავეხახუნე. ძირითადად ჩემი მეურვეები — რიკ ფოქსი და დევინ ჯორჯი ჯარიმდებოდნენ ჩემზე. თანაგუნდელების მადლობელი ვარ, პასს არ მიგვიანებდნენ, ლეიკერსელებს კრის ვიტნისგან მიღებული ბურთი ჩავუტენე.

**— ამ მატჩში მხოლოდ შენ და ჯუონ ჰოვარდმა ითამაშეთ შედეგიანად, სხვებსაც რომ ეხეირათ, „ლეიკერსის" ძლევის რა შანსი გექნებოდათ?**

— „ლეიკერსი" ბრწყინვალე ფორმაშია, რაც პირველ რიგში კობი ბრაიანტის დამსახურებაა. ბრაიანტი ბოლო თამაშში ვერავინ გააჩერა, ჩვენც 51 ქულა ჩაგვიგდო. არა მგონია, მოგვეგო, მეორე მეოთხედში უკვე 32 ქულას ვაგებდით.

**— საბოლოოდ მხოლოდ 11 ქულით დამარცხდით...**

— პირველი ტაიმის შემდეგ ჩვენს გასახდელში ერთი ამბავი იყო. „დენვერის" მწვრთნელები ასეთი განრისხებულები არასდროს ყოფილან. ისინი საშინლად ღრიალებდნენ, არა გრცხვენიაო, საკუთარი მაყურებლების წინაშე თავს იჭრითო... მესამე პერიოდში ბზდელიკმა გამოცდილები ათამაშა, მაგრამ მათ ვერაფერი მოახერხეს, ბოლო თორმეტწუთეულში კი მოედანი მთლიანად ახალბედებს დაგვითმო. ჩვენც შევძელით ანგარიშის შემცირება.

**— „ლეიკერსთან" ითამაშეთ წინა მატჩიც. შენ ლოს ანჯელესში მხოლოდ 4 ქულას დასჯერდი...**

— მიკვირს, ესეც რომ მოვახერხე. ის მატჩი პოლიციელების გადამკიდემ უძინარმა, დაღლილმა და სიცხიანმა ვითამაშე.

**— გავიგეთ, დენვერული აეროპორტის გზატკეცილზე გაუჩერებიხართ. ინტერნეტში შენი დაჯარიმების სხვადასხვა ვერსიას წავაწყდით, სინამდვილეში რას გედავებოდნენ?**

— დამაჯარიმეს კი არა, 7 საათი განყოფილებაში მაყურყუტეს. დენვერში რომ არიან, ასეთი უნამუსო „კოპები" თბილისშიც კი არ მეგულება. მათი დაუდევრობის გამო მანქანა მომპარეს და დამილეწეს...

ლოს ანჯელესის რეისზე მივიჩქაროდი და საცობში მოვყევი. არ ვიცი საიდან, მაგრამ პატრულმა ჩემი მანქანის ვადაგასული ნომრები შენიშნა და უკან მომადგა. ამსიმაღლე რომ მნახა, მითხრა, კალათბურთელი ხომ არ ხარო. ჰო, „დენვერში" ვთამაშობ და ლოს ანჯელესის რეისზე მაგვიანდება-მეთქი. სხვათა შორის ქალბატონი იყო, ავტოგრაფს თუ მომცემ ჯარიმას გამოგიწერ და ახლავე გაგიშვებო, მითხრა. კარგი-მეთქი და მანქანაში დაველოდე, მან კი დამხმარეებს გამოუძახა და განყოფილებაში წამიყვანა. თურმე კომპიუტერში რომ უნახავს ჩემი მონაცემები, აღმოჩენილა, რომ იანვარში სიჩქარის გადაჭარბებისთვის გამოწერილი ჯარიმა, არ მქონდა გადახდილი და ამის გამო დამაპატიმრეს.

**— მერე, მაგის გამო დაგაკავეს 7 საათი?**

— ვიღაც ბოღმიანი პოლიციელები გამოდგნენ, ყველაფერს უკირკიტებდნენ და არაფრით მათავისუფლებდნენ. ის კი არა, ჩემი ჯიპი იქვე, ტრასაზე მიატოვეს. ვუთხარი, ახლახან მომპარეს და ახლაც ეგრე ნუ მიატოვებთ-მეთქი. არ დამიჯერეს და მერე, ლოს ანჯელესში გავიგე, რომ მინებჩალეწილი და საბურავებდახსნილი ჩემი ჯიპი დენვერის რომელიღაც უბანში უპოვიათ.

**— გათავისუფლების მერე მანქანას არ მიაკითხე?**

— სად მეცალა, ლოს ანჯელესის ბოლო რეისს ძლივს მივუსწარი. თვითმფრინავიც ჩემთვის ჭირად ნაკლებკომფორტული გამოდგა. სავარძელში ძლივს მოვთავსდი, აბა, რა დამაძინებდა. ჩემ გუნდს რომ შევუერთდი, სიცხეც მქონდა.

**— გავიგეთ, ვარჯიშის გაცდენისთვისაც მოგიწევს ჯარიმის გადახდა...**

— აქ არ აინტერესებთ, რატომ გააცდინე ვარჯიში, ჯარიმას ყველა შემთხვევაში გადაგახდევინებენ. ბზდელიკს რომ ავუხსენი ვითარება, მითხრა, შენი ბრალია, სიჩქარის გადაჭარბებისთვის გამოწერილი ჯარიმა თავის დროზე უნდა გადაგეხადაო.

**— მართლაცდა რატომ არ გადაიხადე?**

— ამერიკაში ათასნაირი გადასახადია და ამ საქმეს ჩემსავით ქალაქ-ქალაქ მოსიარულე კაცი მარტო ვერ გასწვდება. თითქმის ყველა კალათბურთელს ბუღალტერი ჰყავს დაქირავებული, რომლებიც ამგვარ საკითხებს აგვარებენ. მეც მყავდა, მაგრამ არ გამოდგა და დღე-დღეზე ახალი უნდა ამეყვანა. მაინცდამაინც ამ დროს ჩამიგდეს პოლიციელებმა ხელში... დღეს უკვე მყავს ახალი ბუღალტერი, ჩემი მენეჯერის, მარკ ფლეიშერის ძმა.

**— ისე, ის ჯიპიც რა ხელზე იყიდე, უკვე მეორედ გიწევს გარემონტება...**

— კაპიკის დახარჯვას არ ვაპირებ, ადვოკატს ავიყვან და იმ პოლიციელებს ავანაზღაურებინებ ყველაფერს. ასდოლარიანი ნომრების გულისთვის დაახლოებით 10 ათასი დოლარით მაზარალეს. ის კი არა, ჩემი მანქანის მიტოვებისთვის სამსახურიდანაც დაითხოვენ.

**ირაკლი კერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ყვავ-ბახალის ამბავი
## ჩვენი ცქიტას 17 ბრაიანტის 51-ს გვირჩევნია

12 თებერვალი

**დენვერი 102:113 ლეიკერსი**

**დენვერი: ვიტნი (8), იარბრო (13), ბარვი (5), ჰოვარდი (22), ილარიო (7); ცქიტიშვილი (22 წუთი, 17 ქულა, 5 მოხსნა), ანდერსენი (9), ბარინგტონი (9), ბლუნტი (7), ბოუენი (4), ვაიტი (2), კემბი**

**ლეიკერსი: ფიშერი (5), ბრაიანტი (51), ფოქსი (13), უოლკერი (4), ონილი (18); რაში (6), მედვედენკო (4), ჰორი (4), მადსენი (4), შოუ 2), ჯორჯი (2), მიურეი**

ნიკა ცქიტიშვილი წინ მიიწევს, მართალია, არც ისეთი დიდი ნახტომებით, როგორებიც მოსალოდნელი იყო 213-სანტიმეტრიანი და დრაფტზე მე-5 ნომრად არჩეული ზეპერსპექტიული ჭაბუკისგან, მაგრამ მაინც.

გუშინ „დენვერის" ქართველმა ახალბედამ „ლეიკერსს" 17 ქულა ჩაუგდო და ორი ქულით ასწია პირადი კარიერის რეკორდი. ნიკამ ამ ჩვიდმეტ ქულას ძირითადად საჯარიმოებით მოუყარა თავი, რაც აშკარა პროგრესის მაჩვენებელია. ცქიტიშვილი უკვე აღარ ერიდება ფიზიკურ კონტაქტებს და ფარქვეშა ვიწროებიდანაც ცდილობს მიზნის მიღწევას, შედეგად მასზე არაერთხელ დაჯარიმდნენ ლეიკერსელები. ნიკამ 11 საჯარიმო ესროლა, რაც მისი პირადი რეკორდია და ასევე სარეკორდოდ ბევრი, 9 ჩააგდო. დანარჩენი 8 ქულა ცქიტომ ერთი ორქულიანით და ორი სამქულიანით მოაგროვა და ამას მისთვის სოლიდური ოდენობით მოხსნებიც დაურთო. ასე რომ, „დენვერის" მაისურით ნათამაშები 50 მატჩიდან ეს ნამდვილად საუკეთესო იყო ქართველისთვის.

ვერ მოვყვებით იმის მტკიცებას, რომ „პატარა" ქართველის ყოჩაღობამ ამერიკული გაზეთების პირველი გვერდები მოიარა, მისი 17 ქულა არც დენვერულ-კოლორადული სპორტულ-საინფორმაციო საშუალებათა მთავარი თემა გახლდათ. და ეს იმიტომ კი არა, რომ დენვერელთ ქართველის მიმართ ინტერესი გაუნელდათ, პირიქით, ისინი ნიკას არც ერთ გაფაჩუნებას არ ტოვებენ უყურადღებოდ. საქმე ისაა, რომ იმ თამაშში ლეიკერსელმა კობი ბრაიანტმა „ნაგიტსს" 51 ქულა ჩაუგდო (მიმდინარე სეზონის საყოველთაო რეკორდი) და დენვერელებიც, ისევე როგორც მთელი ამერიკა, კობის ქებადიდებაზე გადაეგო.

ბრაიანტი, ეს დღეებია, დაფრინავს, ბოლო შვიდ მატჩში 35 ქულაზე ნაკლები არ ჩაუგდია, „ლეიკერსმა" კი ეს შვიდივე შეხვედრა მოიგო და სეზონის პირველ ნახევარში თითქოსდა სასიკვდილოდ ჩაწიხლული ახლა ჩემპიონის საკადრისად წამოიმართა გოლიათურ ფეხებზე.

„დენვერიდან" შეხვედრაში კობის უკვე პირველ ნახევარში მოუგროვდა 36 ქულა. მისი „ლეიკერსი" კი დიდ შესვენებაზე 32-ქულიანი უპირატესობით (70:38) წავიდა. კობი მესამე მეოთხედშიც ბობოქრობდა, მერე კი სამარქაფოთა სკამზე გადაჯდა. მისი არყოფნა კარგად გამოიყენეს მასპინძლებმა და ბოლო მეოთხედი 33:11 მოუგეს ჩემპიონს, რითაც მორიგი სირცხვილი აირიდეს და შეხვედრა საპატიო, 11-ქულიანი სხვაობით დათმეს.

**ირაკლი ფირცხალავა**

**მილუოკი 120:114 დალასი**

**მემფისი 97:90 ნიუ ჯერსი**

**იუტა 76:106 ჰიუსტონი**

**ნიუ ორლეანი 72:83 ინდიანა**

**ფილადელფია 119:111 ჩიკაგო**

ძირითადი დრო 109:109

**ტორონტო 97:96 ატლანტა**

**კლივლენდი 91:102 მინესოტა**

**ნიუ იორკი 107:113 გოლდენ სტეიტი**

**კლიპერსი 104:108 ვაშინგტონი**


REUTERS

მთელი დენვერი უშედეგოდ დასდევდა კობი ბრაიანტს



მია ახალაძის ფოტო

*პორტუგალიაში ახლახან დამთავრებულ ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ისლანდიის ნაკრებმა მეშვიდე ადგილი დაიკავა და ათენის ოლიმპიადაზე თამაშის უფლებაც მოიპოვა. ამ წარმატებაში თავისი წვლილი შორეულ რეიკიავიკში გადახვეწილ და უკვე იქაურ მოქალაქეს, როლანდ ერაძესაც მიუძღვის. ქართველმა მეკარემ ოთხი შეხვედრა სრულად ითამაშა, დანარჩენში კი ძირითადი მეკარის შემცვლელი იყო. ხელბურთის მოყვარულთათვის უინტერესო არ უნდა იყოს საქართველოს ნაკრების ყოფილ მეკარესთან რეიკიავიკში გასაუბრება, რომელიც იმ პასპორტით დავიწყეთ, ახალი წლის წინა დღეებში რომ მიიღო ჩვენებურმა...*

# ორი ერის ერაძე

## ჩვენი ცხოვრება ხომ იცით. ჰოდა, წარმოიდგინეთ ყველაფერი უკუღმა ანუ ყველაფერი კარგად. ისლანდია წყნარი ქვეყანაა

— ყველაფერი ასე ადვილად იმიტომ გადაწყდა, რომ ხელბურთის ევროპული ფედერაციიდან თანხმობა დროულად მოვიდა. საქართველოდან არანაირი დახმარება არ დამჭირვებია. ჩემი მოქალაქეობის საქმე აქაურ პარლამენტში დამტკიცდა და 27 დეკემბერს ისლანდიური პასპორტი უკვე ჯიბეში მედო.

**— ერგება თუ არა რაიმე სატრანსფერო თანხა შენს მშობლიურ „სტუ-შევარდენს"?**

— ამჯერად არანაირ ფულზე ლაპარაკიც არ ყოფილა. თავის დროზე ჩემმა კლუბმა, რეიკიავიკის „ვალურმა" ბოლომდე გამომისყიდა „სტუ-შევარდენისაგან".

**— შარშან ნაკრების შესარჩევ თამაშებზე რატომ არ ჩამოხვედი?**

— ჯერ ერთი, არავის გამოვუძახებივარ, თუმც მიწვევა რომც მიმეღო, მაინც ვერ ჩამოვიდოდი, ფეხის კუნთი მქონდა გაწყვეტილი. წლეულს კი უკვე ისლანდიური პასპორტი მქონდა.

**— ახლა პორტუგალიურ მსოფლიოს ჩემპიონატზე გკითხავ. იქნებ ჯობდა, მასპინძლებთან ერთქულიანი გამარჯვებისთვის ამდენი ძალა არ შეგელიათ, სხვა ჯგუფში მოხვდებოდით და რუსებს აღარ გადაეყრებოდით...**

— რუსებთან თამაში, რასაკვირველია, უნგრელებთან თამაში გვერჩივნა. მაგრამ ისიც წინასწარ ვიცოდით, რომ გერმანელებთან მოგების შანსი თითქმის არ გვქონდა. ან სად იყო იმის გარანტია, რომ ბოლოსწინა ტურში ყატარის გუნდს მოვუგებდით.

**— მწვრთნელებმა პროგრამა-მაქსიმუმად ალბათ მეშვიდე ადგილი დაგისახეს...**

— მართლაც ასე იყო. რადაც უნდა დაგვჯდომოდა, ოლიმპიური თამაშების საგზური უნდა მოგვეპოვებინა. ამისათვის კი შვიდეულში მოხვედრა იყო საჭირო.

**— უკეთესი ადგილის დაკავებაც შეგეძლოთ?**

— ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და, ესპანელებისთვის ნამდვილად უნდა მოგვეგო. პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიშია 18:18. მეორე ტაიმში მსაჯთა მიკერძოება აშკარა იყო. ეს თამაში ესპანეთ-პორტუგალიის სასაზღვრო ქალაქში გაიმართა, უამრავი ესპანელი ჩამოვიდა თავისიანების საქომაგოდ. ერთბურთიანი სხვაობით წავაგეთ. ეს მატჩი სხვა ადგილას რომ დანიშნულიყო, დამიჯერეთ, ესპანელებს აუცილებლად მოვუგებდით.

**— როლანდ, იუგოსლავიაშიც გითამაშია და იქაურ ხელბურთს ასე თუ ისე იცნობ. რამ განაპირობა ხორვატიის ნაკრების ასეთი წარმატება?**

— აშკარად იგრძნობოდა ძველი იუგოსლავიური სახელბურთო სკოლის გავლენა, მიუხედავად იმისა, რომ ხორვატებს პორტუგალიაში ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ჰყავდათ. მათი ნაკრები ძირითადად ორი კლუბის — „ზაგრების" და „მეტკოვიჩის" ბაზაზე იყო დაკომპლექტებული. ორივე გუნდი არცთუ ურიგოდ ასპარეზობს ბოლო წლების ევროთასებზე. საქართველოსგან განსხვავებით, იქ სპორტს დიდი მხარდაჭერა აქვს. სხვანაირად ეს პატარა ქვეყანა ამდენს ვერ მიაღწევდა ვერც ფეხბურთში და ვერც სხვა სახეობებში.

**— საოცარი მეკარე ჰყავდათ, ვლადო სოლა. ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ ის ხომ არ დაუსახელებიათ?**

— არა, საუკეთესო მეკარე გერმანელი ჰენინგ ფრიცი გახდა. საუკეთესო მოთამაშის პრიზიც გერმანელს, ხაზის მოთამაშე კრისტიან შვარცერს მიაკუთვნეს.

**— შენც ხომ არ გერგო რაიმე პრიზი?**

— არა, მე პორტუგალიაში ვამგზავრების წინ ზურგის ტრავმა მქონდა, სულ ოთხი მატჩი ვითამაშე ბოლომდე, პორტუგალიელებთან, პოლონელებთან, ესპანელებთან და რუსებთან. დანარჩენებში შეცვლაზე გამოვდიოდი.

**— ზურგის ტრავმას გეიზერებში ბანაობა არ შველის?**

— გეიზერები რეიკიავიკიდან შორსაა. იქ წასასვლელი დროც არ მაქვს. აი, დღესაც, საღამოს რვა საათზე კლუბის თამაშია დანიშნული.

**— მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ რაიმე შემოთავაზებები ხომ არ ყოფილა უცხოური კლუბებიდან?**

— კონტრაქტით მაისის ბოლომდე „ვალურს" ვეკუთვნი. არაა გამორიცხული, მომავალ სეზონში ესპანეთის რომელიმე გუნდში ვითამაშო. ამაზე უკვე მუშაობს ჩემი მწვრთნელი და მენეჯერი გეირი სვენსონი. მას თავის დროზე ევროპის რამდენიმე კლუბში უთამაშია. მათ საშზარეულოშიც ჩახედულია და საკმაო ნაცნობობაც ჰყავს.

**— პორტუგალიის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ შენს ცოლისდასთან, ვიქტორია რავასთან და ქვისლთან, ამირან ჯიოშვილთან ხომ არ გადასულხარ საფრანგეთში?**

— ამის ძალიან დიდი სურვილი მქონდა, მაგრამ ნაკრები მალევე დაბრუნდა ისლანდიაში. მე თან ტრავმა უნდა მომეშუშებინა. გეცოდინებათ, ვიქტორია რავას „კანი" ევროლიგის ნახევარფინალში გავიდა. წილისყრით ორი მატჩი უნდა ითამაშონ ესპანეთის „ტენერიფესთან". ვიკა შარშანდელი სეზონის საფრანგეთის საუკეთესო ფრენბურთელად დაასახელეს. მისი მეუღლე „ავინიონში" თამაშობს. შარშან ზაფხულში ვიყავი მათთან და ამირანი ხუმრობდა, იმდენად ახალგაზრდული გუნდია, კლუბში ყველაზე ბებერი მე ვარო.

**— შენი გუნდი „ვალური" როგორლა გამოდის ისლანდიურ ჩემპიონატში?**

— წინა სეზონში მეორე ადგილი დავიკავეთ. ქვეყნის თასზე ფინალში ვითამაშეთ. წლეულს პირველი ადგილით ჩავამთავრეთ პირველი წრე. თასზე კი ნახევარფინალში იოლად გავედით.

**— შარშანდელ ევროთასებზე „ვალური" რატომ არ თამაშობდა?**

— ალბათ, ასე ჩათვალეს საჭიროდ. წლეულს რომელიმე საგზურს აუცილებლად მოვიპოვებთ, მაგრამ მე ალბათ არც ამჯერად მომიწევს თამაში. როგორც გითხარით, ამ კლუბში დარჩენას აღარ ვაპირებ.

**— რატომ, პირობები არ გაკმაყოფილებს?**

— ამ მხრივ ისლანდიელებისთვის სამდურავი არ მეთქმის. ბინაც მომცეს და მანქანაც. წელიწადში ერთხელ საქართველოში წასვლა-წამოსვლას მინაზღაურებენ — ესეც დევს კონტრაქტის პირობებში. პრემიები თავის დროზე, მეუღლე სამსახურში მოაწყვეს და თანაც საოცრად წყნარი ქვეყანაა ისლანდია. აქედან წასვლის მიზეზი კი მხოლოდ ერთია, მინდა, უფრო მაღალი რანგის კლუბში ვითამაშო.

**— ერთი ხანობა შენი ყოფილი თანაგუნდელის, ბექა ორჯონიკიძის შენს კლუბში თამაშზე იყო ლაპარაკი...**

— ბექას გადმოყვანა ნამდვილად მინდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოვიდა.

**— ქართველები თუ ცხოვრობენ ისლანდიაში?**

— სულ რამდენიმე ოჯახია, ძირითადად კონტრაქტით მუშაობენ.

**— არ გენატრება საქართველო, როდის აპირებ თბილისში ჩამოსვლას?**

— ზაფხულში აუცილებლად ჩამოვალ. მონატრებით კი ყველა და ყველაფერი მენატრება — ქალაქიც, ახლობლებიც, თანაგუნდელებიც...

**ზურაბ ტაბატაძე**



ევროპის ერთა თასი 2003

# ჩეხურმა ყინვამ ერთა თასი შეკუმშა

**წლევანდელი** ევროპის ერთა თასის პირველი ტური არასრულად ჩატარდება.

15 თებერვალს გასამართი ჩეხეთი — რუმინეთი ოთხი თვით გადაიდო. მიზეზი ჩეხეთში გამეფებული გაუსაძლისი ყინვაა. პრაღაში, სადაც მატჩი უნდა ჩატარებულიყო, მინუს 20 გრადუსია. FIRA-ს (ევროპაში რაგბის განვითარების საბჭო) კომისარმა მიშელ ლამულიმ მიზანშეუწონლად მიიჩნია ასეთ პირობებში თამაში. ლამულის მეტოქეებიც დაეთანხმნენ და შეხვედრა 22 ივნისისთვის გადაიტანეს.

გადატანილია მეორე ტურის, 22 თებერვლის ჩეხეთ — რუსეთის მატჩიც. მიზეზი იგივეა, ოღონდ ამ შემთხვევაში დასაზუსტებელია შეხვედრის ჩატარების თარიღი, სავარაუდოდ კი 24 მაისი დაითქვა.

ასე რომ, ევროპის ერთა თასის პირველ ტურში მხოლოდ ორი მატჩი გაიმართება. 16 თებერვალის პორტუგალია საქართველოს უმასპინძლებს, ესპანეთი — რუსეთს.

**ბაჩო სვანიძე**



# კაცი ვარ და ასი ქუდი მხურავს

## ჯეისონ ლეონარი ინგლისში პირველი მორაგბე იქნება

**წლევანდელი** ექვსი ერის პირველ ტურში ინგლისის ნაკრები მზადაა ფრანგების სამასპინძლოდ. მეზობელ „მამლებთან" თამაში ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა ინგლისელებისთვის. ერთი მათგანისთვის კი ეს ჯახი ორმაგად მნიშვნელოვანია. ინგლისელთა მორკინალი და გამწევი ძალა ჯეისონ ლეონარი სარეკორდოდაა შემზადებული.

ლეონარი 34 წლისაა და 99 სანაკრებო კეპი აქვს მოხვეჭილი. ფრანგებთან მატჩი მისთვის მე-100 სანაკრებო იქნება. ამდენი ინგლისის ნაკრებში არავის უთამაშია.

ლეონარი ამპლუით პირველხაზელი, შერკინების მარცხენა ბურჯია. მისი სანაკრებო დებიუტი 1990 წლის 28 ივლისს შედგა არგენტინასთან. მაშინ ჯეისონი 22 წლის იყო. მას აქეთ 177-სანტიმეტრიან და 111-კილოგრამიან „ტანკს" თითო-ოროლა შეხლა თუ გაუცდენია, ისიც ტრავმების გამო. ნაკრებში ჩატარებული 99 მატჩში ლეონარს 1 კინკილა ლელო აქვს გატანილი, თუმც ეს მას ნაკლებად აღელვებს: „ლელოს გატანა სხვისი საქმეა, ჩემი მიზანია, მაგრად მივაწვე მეტოქეს და მოედანზე შავი სამუშაო შევასრულო."

ფრანგებთან ჯახში ინგლისის ნაკრების მწვრთნელი კლაივ ვუდვორდი „ჰარლექუინზის" ვეტერან მორკინალს ძირითად შემადგენლობაში დააყენებს. ასე რომ, ლეონარი უეჭველად გახდება ქვეყნის რეკორდსმენი, მსოფლიოს ასიანთა კლუბში კი მესამე იქნება. ჯეისონზე მეტი სანაკრებო კეპი მოუხვეჭავთ მხოლოდ ფრანგ ფილიპ სელას (111) და ავსტრალიელ დევიდ ქემპიზს (101).

შევნიშნოთ, ამ ორმა უკვე დაასრულეს კარიერა, ლეონარი კი მინიმუმ გაისამდე აპირებს თამაშს, დიდი შანსია „ვარდებს" ბურჯმა სელას და ქემპიზს გადაასწროს და უნიკალური რეკორდი დაისაკუთროს. „შევძლებ თუ არა გადავასწრო სელას და ქემპიზს? რატომაც არა. ქემპიზის ჩამოსატოვებლად ორად ორი მატჩი მაკლია. სელას კი ალბათ მსოფლიოს თასის შემდეგ ვაჯობებ. წლეულს ჯერ ექვსი ერი გველის, მერე ტესტ-მატჩები და ბოლოს მსოფლიოს თასი, სადაც მინიმუმ ფინალამდე მივალთ. ამაში მერწმუნეთ. გამოდის, სადღაც ოცამდე შეხვედრას ვითამაშებთ. თუ ბედმა არ მიმუხთლა, ალბათ ნახევარზე მეტში მეც მივიღებ მონაწილეობას და სელას რეკორდს დავამხობ" — იქადნება ლეონარი.

წლევანდელი მსოფლიოს თასის ლეონარისთვის მეოთხე იქნება. მას 1991, 1995 და 1999 წლების ჩემპიონატებზე უთამაშია.

ლეონარის ტევად კოლექციას „ბრიტანელი ლომების" შემადგენლობაში სამი — ახალზელანდიური, სამხრეთაფრიკული და ავსტრალიური ტურნეებიც ამშვენებენ.

**ბაჩო სვანიძე**

# დავიღალეთ! დევისელები აგებენ და აგებენ

**SIEBEL OPEN**
სან ხოსე. ჰარდი
საპრიზო 380 ათასი.

**პირველი წრე**

**ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) — პარადორნ შრიჩაფანი (2, ტაილანდი) 7:5, 6:2; ჯეიმს ბლეიკი (3, აშშ) — უეინ ბლეკი (ზიმბაბვე) 6:2, 6:4; ნიკოლაი დავიდენკო (7, რუსეთი) — ჯეფ მორისონი (აშშ) 6:3, 2:6, 7:6 (7:1); მარდი ფიში (აშშ) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 6:2, 4:6, 7:6 (7:3); ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) — იან ვაცეკი (ჩეხეთი) 6:4, 6:2**

ანდრე აგასის სან ხოსეში ტოლსწორი მეტოქეები ისედაც არ ჰყავდა, ხოლო სახიფათო ტაილანდელის, შარშანდელი უიმბლდონიდან მისი ადრეეტაპზევე გამძევებელი პარადორნ შრიჩაფანის წაგების შემდეგ შემცილებლად მხოლოდ ზორბა ოზი მარკ ფილიპუსისი დაურჩა.

მსოფლიო კლასიფიკაციის მე-13 საფეხურზე მდგომი შრიჩაფანი გუშინ 26 წლის ამერიკელმა, რანგით 98-ე ჩოგნის მჭნეველმა ჯასტინ გიმელსტობმა აოტა. ზეოცეულელი გიმელსტობს უკანასკნელად 2000 წლის 19 ივლისს დაემარცხებინა — ეგებ გახსოვდეთ, ლოს ანჯელესურ მერვედფინალში მან იმ დღეს სწორედ ფილიპუსისს აჯობა.

სხვაფრივ — ტურნირს მოულოდნელად გამოაკლდა ვეტერანი ამერიკელი ტოდ მარტინი, რომლის ახლახანს შობილ ბიჭუკელასაც ფლორიდაში ოპერაცია უნდა გაუკეთონ. მარტინის არყოფნა ყველაზე მეტად წაადგა ბელარუს ვლადიმირ ვოლჩკოვს, რომელმაც თავი პირდაპირ მეოთხედფინალში დაიგულა და იქ აგასისა და ფილიპუსისს შორის უმჯობესს გამოელის.

და კიდევ — ტურნირი გამარჯვებით დაიწყეს გასულ პარასკევ-უქმეებზე ზაგრებში გა-დევის-ბითურებულმა ჯეიმს ბლეიკმა და მარდი ფიშმა. ერთიც და მეორეც უსახელო მეტოქეებს გასცდნენ.

**მარსელის ღია პირველობა**
ჰარდი. საპრიზო 500 ათასი ევრო

**პირველი წრე**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 7:6 (7:3) (ლიუბიჩიჩმა ტრავმის გამო შეწყვიტა); ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — ირჟი ნოვაკი (2, ჩეხეთი) 6:2, 6:1; სებასტიან გროჟანი (3, საფრანგეთი) — ალექს კალატრავა (ესპანეთი) 6:2, 6:2; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — იუნეს ელ აინაუი (5, მაროკო) 6:2, 6:4; ოლივიე როხუსი (ბელგია) — ევგენი კაფელნიკოვი (6, რუსეთი) 7:6 (7:5), 6:4; სირილ სოლნიე (საფრანგეთი) — ფაბრის სანტორო (7, საფრანგეთი) 2:6, 6:4, 6:1; მაქს მირნი (ბელარუსი) — ტომი რობრედო (8, ესპანეთი) 7:6 (8:6), 1:6, 7:6 (7:5)**

იმდღევანდელ შეხლებს განთესილთაგან მხოლოდ ორნი — მთავარმეჩოგნე როჯერ ფედერერი და ადგილობრივთა ჯილა, მარსელში დაბადებულ-გაზრდილი სებასტიან გროჟანი გადაურჩნენ. პირველმა მხოლოდ ერთი სეტი ითამაშა, რაკილა ამერიკელთა შემმუსვრელ ხორვატს ივან ლიუბიჩიჩს ტრავმა მიეძალა. მეორემ კი უსახელო ესპანელი ალექს კალატრავა დაანაკუწა. ფედერერს და გროჟანს შანსი აქვთ, ერთმანეთს ნახევარფინალში გადაეყარონ. ამ სავარაუდო მატჩს სხვარიგი დატვირთვაც ექნება — შვეიცარიასა და საფრანგეთში აპრილში სადევისმეოთხედფინალოდ შეიყრებიან და ფედერერსა და გროჟანს იქ სეფეჩოგანთა ქნევა მოუწევთ.

ჩაუქად გაირჯა მეორე ფრანგი მედევისე, შარშანდელ ფინალში ტომას ენკვისტთან დამარცხებული ნიკოლა ესკუდიც. მან მეორე ნომრად განთესილი ირჟი ნოვაკი გაამევა.

კვლავ ჩაიფლავა რუსმა ევგენი კაფელნიკოვმაც, რომელსაც — თავის მხრივ — ორიწლისწინანდელ იქაურ ფინალში სწორედ გროჟანისთვის მოუგია. რუსულ მასმედიაში მის წინაალმდეგ აგორებული კრიტიკული ტალღის საპასუხოდ კაფელნიკოვს ამ მატჩამდე უთქვამს, რომ მასზე რაც უნდა ითქვას, ის თავს მაინც ჩემპიონად გრძნობს. თუმცა ამ მატჩმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ორგზის მესლემტიტულე სოჭელისგან ბევრი არც არაფერი დარჩენილა.

სათქმელია ისიც, რომ ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში ენდი როდიკთან გადატანილი ხუთსაათიანი განდაგანის შემდეგ ეგრეც აზრზე ველარ მოსულა და აგერ უკვე მეორე ტურნირის პირველსავე წრეში დაიჩოგნა მაროკოეული იუნეს ელ აინაუი. ბებერი ბედუინი ამჯერად შვედმა ბიორკმანმა ალაგმა.

და ბოლოს — ტურნირს უთამაშებლად გამოაკლდა ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი რაინერ შიუტლერი.

სახელიან მეჩოგნეთა ამგვარი ლიანგური ოტების მიზეზი გასულ პარასკევ-უქმეებზე დევისშეხლებში მათი მონაწილეობა უნდა იყოს. ისინი ჩივიან, რომ ჯანი ჯერაც ვერ აღუდგენიათ.

**BELL SOUTH OPEN**
ვინა დელ მარი. თიხა
საპრიზო 345 ათასი.

**მეორე წრე**

**დავიდ სანჩესი (ესპანეთი) — ხოსე აკასუსო (4, არგენტინა) 4:6, 6:0, 6:1; ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) — ფერნანდო ვისენტე (6, ესპანეთი) 6:7 (3:7), 6:1, 6:2; ანდრეა გაუდენცი (იტალია) — დავიდ ფერერი (8, ესპანეთი) 5:7, 6:4, 6:0**

**PROXIMUS DIAMOND GAMES**
ანტვერპენი. ხალიჩა
საპრიზო 585 ათასი.

**პირველი წრე**

**ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) — ალექსანდრა სტივენსონი (9, აშშ) 6:3, 6:2**

**მეორე წრე**

**ვინუს უილიამსი (1, აშშ) — მაია მატევზიჩი (სლოვენია) 6:1, 6:1; ჟუსტინ ენენ-არდენი (3, ბელგია) — ზუზანა ონდრაშკოვა (ჩეხეთი) 6:4, 7:6 (7:2); პატი**



ვინუს უილიამსი

**შნიდერი (7, შვეიცარია) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 7:5, 6:0**

გუშინდლიდან საქმეში შარშანდელი ჩემპიონი, ქალთა ამქრის მეორმეჩოგნე ვინუს უილიამსიც ჩაება. ჩაება და პირველი მოწოლებიდან საათს 50 წუთიც არ აეთვალა, ყველაფერი მოყომარებული რომ ჰქონდა. სლოვენიელმა მატევზიჩმა უფროს შავდას მხოლოდ ორი გეიმი წაჰგვარა.

ვინუსთან ერთად კორტზე ადგილობრივთა მორიგი ფავორიტი — ჟუსტინ ენენ-არდენიც გავიდა. მართალია, მისი მეტოქე კლასიფიკაციის ოდენ 132-ე საფეხურზე მდგომი ონდრაშკოვა იყო, მაგრამ ცილა ბელგიელის გამარჯვებას დამაჯერებელი დასტურ არ ეთქმოდა. ამას ანგარიშზეც დაატყობთ.

**ყატარის ღია პირველობა**
დოჰა. ჰარდი
საპრიზო 170 ათასი.

**მეორე წრე**

**ლინა კრასნორუცკაია (რუსეთი) — მონიკა სელეში (1, აშშ) 7:5, 7:5; ანასტასია მისკინა (2, რუსეთი) — მარი პირსი (საფრანგეთი) 7:5, 6:4; მაგდალენა მალეევა (3, ბულგარეთი) — მარტინა სუხა (სლოვაკეთი) 6:4, 6:2; დინარა საფინა (რუსეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) 6:4, 6:3**

დოჰას რუსქალები შესევიან, თანაც ისე ბარაქიანად, რომ იმ დღეს უმალ ორი სახელიანი მდედრიც აოტეს — ტურნირზე საშვით მოხვედრილმა ლინა კრასნორუცკაიამ ეგრევე პირველ ნომრად განთესილი მონიკა სელეშისკენ გაიწია, მეორე ნომრად განთესილმა მისკინამ კი ჩადედლებული მარი პირსი დათრგუნა. 18 წლის ლინას სელეშის ჯავრი სჭირდა, რაკილა მასთან ახლახანს ტოკიოში წაეგო. მისკინაზე კი რა გითხრათ — ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხედფინალამდე იომა და ისეთი ხათქუნა ვინმეა, კლასიფიკაციის მე-11 ადგილიდან მალე ათეულშიც შესკუპდება.

**ლევან ძელაურაძე**



რეგულარული ჩემპიონატი

# ლემიეს პინგვინები ქათმებივით დაყიდეს

— 12 თებერვალი —

**პიტსბურგი 0:3 ოტავა** *0:0 0:1 0:2*
**0:1 დალმანი (35), 0:2 ჰოსა (41), 0:3 ხილი (60)**

აი, როგორ გამოიყურება პიტსბურგის წამყვანი სამეული: მარიო ლემიე, მიკაელ სამუელსონი, რომელიც ეს-ესაა გუნდში მივიდა და მანამდე რეინჯერსის ძირითადში ყოველთვის ვერც ხვდებოდა და სტივ მაკენა, მუშტი-კრივების ოსტატი. ასეთია რეალობა. აი, რა დაემართათ „პინგვინებს", რომლებმაც უფულობის გამო ვარსკვლავები გაყიდეს. დანარჩენ შემადგენლობაზე ხომ არც ღირს ლაპარაკი. და ეს ყველაფერი როდია. გუნდი საშინაო მატჩებს სანახევროდ ცარიელ დარბაზში ჩაატარებს. მიმსვლელთაგან ბევრი კი მხოლოდ იმიტომ მივა, რომ ერთხელ კიდევ გამოხატოს თავისი სიძულვილი გუნდის გენერალურ მენეჯერ კრეიგ პატრიკის მიმართ.

თვით მარიო ლემიესაც დაუკარგავს რწმენა. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ მას ერთი სული ჰქონდა, სანამ ყინულს დაუბრუნდებოდა, ახლა კი განაცხადა, ჰოკეის უნდა გამოვემშვიდობოო. „ახლა დავრწმუნდი, რომ ბოლო წლების განმავლობაში თამაში მთლიანად შეიცვალა. მეგონა, შევძლებდი, გუნდი შემტევი და შედეგიანი ჰოკეისთვის განმეწყო. თუმც ასეთი მცირე ბიუჯეტის პირობებში ეს შეუძლებელია" — გაწბილებული და გულნატკენია ლემიე და, ადვილი მისახვედრია, რა ხასიათზე ითამაშებდა იგი. მისმა პიტსბურგმა აღმოსავლეთის ლიდერ ოტავას სერიოზული წინააღმდეგობაც ვერ გაუწია.

**ფლორიდა 1:3 რეინჯერსი** *1:1 0:1 0:1*
**0:1 პოტი (11), 1:1 იოკინენი (20), 1:2 მაკარტი (39), 1:3 კოვალიოვი (60)**

პიტსბურგი იძირება, მის ბუდეში გაზრდილი ბარტყები კი სხვა გუნდებს ახარებენ. ალექსეი კოვალიოვმა რეინჯერსში მეორედ მისვლა გოლით აღნიშნა, მისმა ახალმა კლუბმა კი 7 უხეირო მატჩის შემდეგ, როგორც იქნა იმარჯვა.

**ატლანტა 1:5 ვაშინგტონი** *0:5 1:0 0:0*
**0:1 იაგრი (2), 0:2 ლანგი (4), 0:3 გრირი (9), 0:4 ზუბრუსი (11), 0:5 ნიულანდერი (16), 1:5 კოზლოვი (30)**

იგივე შეგვიძლია ვთქვათ ამ შეხვედრაზე: ყოფილმა „პინგვინებმა" — იარომირ იაგრმა და რობერტ ლანგმა უკვე კარგა ხანია, დატოვეს მშობლიური ბუდე და ვაშინგტონს არაერთი თამაში მოაგებინეს. განსაკუთრებით უნდა გამოვყოფთ იაგრი (1+2), რომელიც „ოლ სტარის" შემდეგ შეუდარებელია.

**კოლუმბუსი 1:0 სან ხოსე** *1:0 0:0 0:0*
**1:0 ნეში (8)**

**ჩიკაგო 1:3 ტორონტო** *1:3 0:0 0:0*
**1:0 ბელი (2), 1:1 მაკოლი (3), 1:2 ლუმე (7), 1:3 დომი (8)**

**ფინიქსი 0:3 ნიუ ჯერსი** *0:0 0:1 0:2*
**0:1 რაპი (36), 0:2 ბიჩკი (43), 0:3 ფრიზენი (55)**

**მინესოტა 2:0 ფილადელფია** *0:0 1:0 1:0*
**1:0 რონინგი (35), 2:0 ულცი (46)**

პიტსბურგმა მინესოტას უნდა მიჰბაძოს, რომელსაც ერთადერთი ვარსკვლავი ჰყავს — მარიან გაბორიკი და ვერც დიდი ბიუჯეტით ნებივრობს, თან ყველაზე დახურულ ჰოკეის თამაშობს, მაგრამ მისი საპლეიოფო ოცნებები დღითი დღე სულ უფრო და უფრო რეალური ხდება. ხუმრობა ხომ არაა, ფილადელფიას სამი დღის განმავლობაში ორჯერ მოუგო, თან გოლიც არ გაუშვია.

**ანაჰაიმი 4:3 კალგარი** *0:0 1:1 2:2 1:0*
**1:0 ჩელბერგი (31), 1:1 საარიკინი (38), 1:2 დრური (44), 2:2 სიკორა (47), 3:2 სიკორა (51), 3:3 ლუდმანი (60), 4:3 ლეკლერკი (63)**

# რეინჯერსმა კოვალიოვში მილიონები გადაყარა

**რეინჯერსის** ბოსები გაგიჟებულანო, უთუოდ გაივლებდა გულში ყინულის და ყვანჯის სამყაროში ჩახედული კაცი. მაშინ, როცა ლიგის ყველა კლუბი თითოეული ცენტის დაზოგვაზე ზრუნავს, რეინჯერსი ფულებს აქეთ-იქით ფანტავს. ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ ალექსეი კოვალიოვი ამ გუნდმა დიდი სიამოვნებით გაყიდა, რაკი რუსმა ვერ გაამართლა იმედები. „დიადმა" უეინ გრეცკიმ მაშინ განაცხადა, ეს ერთადერთი მოთამაშეა, რომელსაც ჩემი პასების შემდეგ გატანა არ შეუძლიაო. მაგრამ, ეტყობა, გუნდის გენერალურ მენეჯერ გლენ საზერს მეხსიერება ღალატობს, მაშინ ხომ მან თავად გაყიდა კოვალიოვი. ახლა კი საზერი რუსს სწორედ იმ მოთამაშედ მიიჩნევს, ვინც გუნდს ჩიხიდან გამოიყვანს. დღესდღეობით რეინჯერსის ბიუჯეტი უკვე აღემატება 70 მილიონ დოლარს და ზაფხულში, როცა კოვალიოვი თავისუფალი აგენტი გახდება, მას არანაკლებ 8-9 მილიონი უნდა გადაუხადონ. მისი შეძენა მით უფრო გასაკვირია, რომ ჩვეულებრივ ამგვარ ძვირადღირებულ ვარსკვლავებს დედლაინის წინ ფავორიტები ყიდულობენ, რათა პლეი ოფში თასის მოგების შანსები გაიზარდონ. რეინჯერსისთვის კი პლეი ოფი ოცნების სფეროა.

სამაგიეროდ, პიტსბურგში ახლა ალბათ ლოცულობენ საზერზე. თუ წელიწადნახევრის წინ „პინგვინებმა" იარომირ იაგრი ვაშინგტონს ფაქტობრივად აჩუქეს, ახლა რუსის ნაცვლად გარკვეული კომპენსაცია მიიღეს. კოვალიოვის ტრეიდში ერთბაშად 8 მოთამაშე აღმოჩნდა ჩათრეული და პიტსბურგმა საკმაოდ პერსპექტიული ახალგაზრდები ჩაიგდო ხელში. ოთხივე



ახალწვეული უეჭველად დამკვიდრდება გუნდის ძირითად შემადგენლობაში, განსაკუთრებით კი ფორვარდ რიკო ფატასი ეიმედებათ წყალწაღებულ პიტსბურგელებს. ალარაფერს ვამბობთ 4 მილიონ დოლარზე, რომელიც აგრეთვე შეემატათ „პინგვინებს".

აღსანიშნავია რომ, კოვალიოვი მეხუთე(!) ვარსკვლავია, რომელიც პიტსბურგმა ბოლო 5 წლის განმავლობაში იძულებით გაყიდა.

როგორც ჩანს, კოვალიოვიც საკმაოდ გაოგნებულია რეინჯერსში გადაბარგებით. „ცუდი არაფერია, ყველაფერი მომწონს. უბრალოდ, იმაზე ვწუხვარ, როგორ ამეწყობა ურთიერთობა მწვრთნელებთან და მივაღწევ თუ არა წარმატებას."

**სამველ ღარიბიანი**



# ვარჯიშ-ვარჯიშ რეკორდის რამა

ფორმულა I-ის მსოფლიოს 54-ე ჩემპიონატის დაწყებამდე თვეზე ნაკლებია დარჩენილი და პილოტებიც, რა თქმა უნდა, ახალი ბოლიდების გამოცდით არიან დაკავებულები. ათი გუნდიდან „მაკლარენისა" და „მინარდის" გარდა ყველამ გაივარჯიშა განახლებული მანქანებით.

ბოლონიის მახლობლად, „ფერარის" საკუთარ ტრეკზე ფიორანოში პირველი სატესტო სერია გაიარა სკუდერიელ კონსტრუქტორთა მორიგმა ფანტასტიკურმა ნახელავმა. ბუნებრივია, ახალთახალი „F2003 GA"-ს საჭეს პირველად მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი მიუჯდა. „წითელმა ბარონმა" სამკილომეტრიან წრეს 78-ჯერ შემოუჭროლა და ტრასის რეკორდიც დაამყარა — 57,045 წამი. ეს შედეგი ძველ მიღწევას თითქმის ნახევარი წამით სჯობს. შუმის მეორე დღის პროგრამაში მხოლოდ რვა წრე იყო, დრო კი წამით უარესი აღმოჩნდა.

ამასობაში უფრო მზიან და უფრო თბილ ესპანეთში, კერძოდ, ვალენსიის ზუსტად ოთხკილომეტრიან ტრასაზე მეორე ფერარელი რუბენს ბარიკელო ჯირითობდა. იმ ბოლიდით, რომლითაც ბრაზილიელმა შარშან ვიცეჩემპიონობა მოიპოვა, სხვებზე ორჯერ მეტი, 111 წრე კი შემოარტყა „რიკარდო ტორმოს", მაგრამ მხოლოდ მესამე შედეგი აჩვენა ხუან პაბლო მონტოიასა (უილიამსი) და ფერნანდო ალონსოს (რენო) შემდეგ. აღსანიშნავია, რომ მონტოიამაც გააუმჯობესა ტრეკის რეკორდი — მაკლარენელ დევიდ კულჰარდის მაჩვენებელს წამის სამი მეათედი ჩამოაჭრა. სიჩქარის რეკორდები წლევანდელ ვარჯიშებზე უკვე ხუთჯერ დაემხო, რაც მრავლისმთქმელი ფაქტია.

ვალენსიური ტესტების უმთავრესი მოვლენა გახდა „ჯორდანის" ახალწვეულ რალფ ფირმენის პირველი გაჯირითება. 27 წლის ბრიტანელმა, რომელიც ედი ჯორდანმა თავის საჯინიბოში მეორე კანდიდატის, ვეტერან ედი ირვინის ნაცვლად აიყვანა, მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა — ორ დღეში 120 წრე უპრობლემოდ და, რაც მთავარია, ისე ყინჩად ირბოლა, რომ თავის საუკეთესო ცდისას რეკორდსმენ კოლუმბიელს მხოლოდ წამით ჩამორჩა.

**გია ახალაძე**

# და მიცურავს ქალი

დიახ, მიცურავს თოთხმეტკაციანი „კინგ ფიშერ 2“ , რომელსაც განუზრახავს დედამიწის გარშემო ცურვა, რითაც „ჟიულ ვერნ ჩელინჯის“ რეკორდს დაამხობს. შკიპერად ქალია, განთქმული ელენ მაკარტური.



REUTERS



REUTERS

# ბრინჯაოსანთა ფრენცეკვა

აი, ფრენა ჩინურად. შენ ჟუე (პაერში) და ჟო ჰონგბო ისე კოხტად ცეკვავენ მოკლე პროგრამას, რომ მთელი ფიგურული სრიალის ჩინელი მოტრფიალენი ტაშს უკრავენ. ამ წყვილმა ხომ სოლტ ლეიკ სიტიში ოლიმპიური ბრინჯაო მოიგო. ეს შეჯიბრი კი, რომელსაც ოთხი კონტინენტის ჩემპიონატი ჰქვია, სწორედ პეკინში მიმდინარეობს.

# საპრიკეტო მოლოდინი

ეს სატელიტური ანტენები მთელს ქალაქ მულტანს გაუხარებს გულს. პენჯაბის შტატის ამ ქალაქში, პაკისტანელი ელექტრიკოსები ანტენებს უკლიან, რათა მთელმა ქალაქმა იხილოს სამხრეთ აფრიკიდან გადმოცემული კრიკეტის მსოფლიოო თასის რეპორტაჟები. პაკისტანელები ხომ თავიანთ პირველ მატჩში მსოფლიოს ჩემპიონ ავსტრალიელებს ხვდებოდნენ. ავსტრალიელები კი თუმც მონდომებით ემზადებოდნენ ამ თამაშისთვის, იოჰანესბურგის თავზე ჩამოქუფრულ ცასა და მეხს მაინც შეუყოვნებია, წვიმას კი მეტად დაუსველებია სუპერსპორტ პარკის სათამაშო მოედანი.





REUTERS



REUTERS

# აჰა, კიდევ ერთი

ეს გვარიანად შემთვრალი დანგლა ბიჭი, ვისაც ბრიტული საცვალი მოურგია, მაშინ გადმოეშვა „აპტონ პარკის“ მინდორზე, როცა მისი სათაყვანო ინგლისის ნაკრები ავსტრალიისას ებურთავებოდა. დიდად ნაწყენი არ ჩანდა, უფრო თავისას აწვებოდა, ინგლისელებმა კი ისედაც შეუსმომგვრელად წააგეს 1:3 იმ ხალხთან, ვისთანაც, ძირითადად, კრიკეტსა და რაგბის აგებენ, ფეხბურთში კი ჩირადაც არ მიაჩნიათ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი,
გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge